ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.7

პოლიცია ომარ გამყრელიძის მეორე შვილს, ყოფილ სპეცრაზმელ ნოდარ გამყრელიძეს ეძებს

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ორშაბათი, 13 მაისი, 2019 №111 (8065) ფასი: 60 თეთრი

„ლევან ვასაძე ხელისუფლების დამხობას ვერ შეძლებს“

გვ.2

გოჩა მირცხულავა: „სხვისი საჯდომების სადარაჯოზე დგომა უხერხულია“

„ცნობილი ფაქტია, რომ ჰომოსექსუალებს ყველაზე აგრესიულად ის ხალხი ებრძოდა, რომლებსაც თავად ჰქონდათ ასეთი მიდრეკილებები. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირის ენკავედეს უფროსი, სისხლიანი 37 წლის ერთ-ერთი შემოქმედი, ეჟოვი“

ზუგდიდში დავით სერგეენკოს პირიდან ლუკმა გააგდებინეს

გვ.3

დიმიტრი ბიძინაშვილი: „უხერხულია, მინისტრი ქეიფობდეს მაშინ, როცა 76.000 ბავშვი შიმშილობს“

სოსო ცინცაძე: „გახარია ნომინალურ პრემიერობას არ დათანხმდება“

გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „ამ ხელისუფლების ცვლილება ზუგდიდიდან დაიწყება“

გვ.4

სამართალი გვ.7

„რუსთავი 2“-ის გაკოტრება მიზანმიმართულად ხდება“

რას პასუხობს ნინო ნიჟარაძის ადვოკატს „რუსთავი 2“-ის იურისტი

შენგელი ფიცხელაური ბიძინა ივანიშვილს ბერას ქორწილის დღეს შეხვდა

როენა ხუცურაულს 3 თვის განმავლობაში ფარულად უსმენდნენ

ეკონომიკა გვ.5

რატომ ტოვებს „აჭარა ჯგუფი“ სათამაშო ბიზნესს?

„საშიში ლიფტები“, რომლებსაც კანონი ვერ აკონტროლებს

გვ.6

შემუშავდება სპეციალური რეგლამენტი, რომელიც ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმისას დანაკლისს შეამცირებს

ISSN 1987-9385

5 რატომ არ თანხმდება სოხუმი დონეცკისა და ლუგანსკის აღიარებას?

5 აზერბაიჯანში ქართველებს პრობლემები აქვთ

5 რუსთაველის გამზირი კვირაში ერთხელ, შესაძლოა, ავტომობილებისთვის გადაიკეტოს

8 რუსული ეკლესია სტალინის კულტის წინააღმდეგია

„ლევან ვასაძე ხელისუფლების დამხობას ვერ შეძლებს“

ქვეყანაში უცნაური რამეები ხდება – რაინდი ლევან ვასაძე ხელისუფლებას დამხობით ემუქრება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თბილისში გეიაღლუმი გაიმართება. გეიაღლუმის წინააღმდეგ გამოდის ქართული მარშიც და, წესით, ისინი ვასაძესთან უნდა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ მათ შორის დიდი შუღლი ჩამოვარდა, გამორიცხული არ არის, გეიაღლუმის მონაწილეების ნაცვლად ერთმანეთი დაარბიონ.

რატომ ემუქრება ვასაძე ხელისუფლებას, გველოდება თუ არა საჯდომების რევოლუცია, რა უნდა გადაიკითხოს რაინდმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „სხვისი საჯდომების სადარაჯოზე დგომა უხერხულია“

– ლევან ვასაძე პოლიტიკაში შემოდის და ხელისუფლებას დამხობით ემუქრება. შარშან თქვენ ჩვენთან საუბარში თქვით, რომ ის პოლიტიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვა, თუ რუსეთიდან მყარ გარანტიებს მიიღებს. მიიღო მან ეს გარანტიები?

– ბატონი, გნებავთ, რაინდი ვასაძე ფრიად არაორდინარული ფიგურა გახლავთ. ის კონკრეტულ თარიღებთან მიმართებით აქტიურდება. ახლაც კონკრეტულ თარიღთან მიმართებით გააქტიურდა და ამასთან დაკავშირებით კონკრეტული გარანტიები თუ დავალებებიც მიიღო.

ის ფრთხილი და პოლიტიკურად მშიშარა გახლავთ და, მყარი გარანტიები რომ არ ჰქონოდა, ამ პროცესებში არ ჩაერთვებოდა.

მიმართვა, სადაც ის საქართველოს ხელისუფლებას არეულობითა და დამხობით დაემუქრა, საკმაოდ მრავლისმეტყველია.

– რატომ არის მრავლისმეტყველი?

– იმიტომ, რომ მის პოლიტიკურ ლექსიკას ასეთი რადიკალიზმი არ ახასიათებს.

თავის მიმართვაში ძალიან საინტერესო რამე ბრძანა, განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს გაეროს ეგიდით ჩასატარებელ გეიაღლუმს და ამიტომ უჭერს მხარს მას საქართველოს ხელისუფლება. ხელისუფლების წარმომადგენლებს ისიც უთხრა, ღმერთი არ გაგიწყრეთ და ეს გარყვნილების ზეიმი არ ჩაატაროთო.

ისე წარმოაჩინა, თითქოს დასავლეთი უჭერს მხარს გარყვნილებას. ამის უკან, რა თქმა უნდა, დგას რუსეთი. ბატონი ვასაძე და მისი თანამებრძოლი დუგინი დიდი ხანია, მესამე რომის აღდგენაზე მუშაობენ.

როდესაც ვასაძე დასავლეთის გარყვნილებაზე საუბრობს, ურიგო არ იქნება, თუ კარგად წაიკითხავს რუსულ ისტორიულ წყაროებს. ეჭვი მაქვს, რომ მას ეს ყველაფერი წაკითხული აქვს, მაგრამ მაინც გარყვნილ დასავლეთზე საუბრობს.

წაკითხული თუ არ აქვს, მე შემიძლია ვუთხრა, რას წერენ წყაროები.

ძალიან ბევრი მასალა არსებობს პეტრე პირველისა და ივანე მრისხანეს ჰომოსექსუალურ თავგადასავლებზე.

ორივე მათგანს რუსეთის იმპერიის შექმნაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, მათ ჰქონდათ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები, მაგრამ გარყვნილი მაინც დასავლეთია.

იმ დროს, როდესაც დასავლეთში ჰომოსექსუალიზმი მიუღებელი იყო, რუსეთში ფართოდ იყო გავრცელებული. ევროპელები გაოგნებულები აღწერდნენ იმას, რაც მაშინ რუსეთში ნახეს. წყაროებში ნათლად წერია, რომ ჰომოსექსუალიზმი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც თავადებში და სამეფო კარზე, ასევე გლეხებში.

რა გამოდის, რუსეთი იმას სდებს ახლა დასავლეთს ბრალად, რითაც საუკუნეების წინ თავად გააოცა ევროპა.

ბატონ ვასაძეს ასევე არ უნდა გაუჭირდეს იმ წყაროების მოძიება, სადაც რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში ჰომოსექსუალიზმის ფაქტებზე წერია. არც გოლიცინის ამბებია ძნელი მოსაძიებელი. და ეს არ არის სრული ჩამონათვალი იმ მასალებისა, რომელთა მოძიებაც რუსულ ისტორიულ წყაროებში შეიძლება.

– ამ ყველაფრის მერე რანაირად იღებენ რუსები და მათი ემისრები ხმას დასავლურ გარყვნილებაზე?

– ძალიან მარტივად. ცნობილია ფაქტია, რომ ჰომოსექსუალებს ყველაზე აგრესიულად ის ხალხი ებრძოდა, ვისაც თავად ჰქონდა ასეთი მიდრეკილებები. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირის ენკავედეს უფროსი, სისხლიანი 37 წლის ერთ-ერთი შემოქმედი, ეჟოვი.

ის ყველაზე დაუნდობლად და აგრესიულად ებრძოდა ჰომოსექსუალებს. ამ დროს თავად ჰქონდა ასეთი მიდრეკილებები.

რუსეთისთვის ეს მიდრეკილებები არც ახლაა უცხო. 2006 წელს რუსეთის ეკლესია ძალიან სერიოზულ სექსუალურ სკანდალში გაეხვია. ამ სკანდალში ფიგურირებდა რამდენიმე მღვდელმთავარი. მათ შორის იყო რუსეთის დღევანდელი პატრიარქი კირილი.

რამდენიმე წლის წინ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს ჰკითხეს, თუ როგორ უყურებდა ის ჰომოსექსუალებს. მან თქვა, რომ ამ ადამიანების მიმართ არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ არის.

პუტინმა თქვა, რომ ასეთი ადამიანები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და მათ საკმაოდ ხშირად აჯილდოებენ.

რაზეა ამ შემთხვევაში საუბარი, საით გვექაჩება ბატონი ვასაძე. აქ, ცხადია, იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ შეიძლება გქონდეს ან არ გქონდეს რაღაცის მიუღებლობა. სხვისი სექსუალური ორიენტაცია ხელისუფლების დამხობის წინაპირობად როგორ უნდა გამოაცხადო, არ მესმის.

2013 წელს 40.000-იანი მარში რომ ჩაატარეს და ტაბურეტებით სდიეს 30 ადამიანს, ეს არის სიძლიერე? ან რა უბედურებაა სხვისი უკანალის სიწმინდის დაცვა. ასეთი რამე არსად გამიგია.

– სხვისი უკანალის სიწმინდის დაცვა მართლა უცნაურია, მაგრამ ის არის საკითხავი, სხვისი უკანალის დარაჯნი რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არადა, ორივე გეიაღლუმის ჩატარების წინააღმდეგია.

– რა ხდება და გავლენებს ვერ ინაწილებენ, ცდილობენ, პირველები იყვნენ იმ მოედანზე, სადაც ოპერირებენ. მათ ერთი პატრონი და ერთი დამფინანსებელი ჰყავთ. ბუნებრივია, უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მიიღონ.

რაც მეტი ადამიანი მოინდომებს ამ მოედანზე შესვლას, მით მეტად გამოჩნდება რაღაც-რაღაცები.

– მოდით, ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლას დავუბრუნდეთ. სერიოზულად მოდის ეს ადამიანი პოლიტიკაში?

– მაქვს კულუარული ინფორმაციები იმასთან დაკავშირებით, რომ ის შემოდგომაზე აპირებდა გააქტიურებას. პოლიტიკაში მოსვლა მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული. ვასაძე იმას გააკეთებს, რასაც პატრონები ეტყვიან.

თქვენ გგონიათ, ის თავისი ჯიბის ფულს დახარჯავს? მის უშუალო შეფსა და სიყრმის მეგობარს, ევტუშენკოვს, დაავალებენ და ის მისცემს მას ფულს. რაინდისთვის ფულის გამოყოფას სხვებსაც მოსთხოვენ. ვასაძემ ეს ფული უნდა გამოიყენოს პოლიტიკური აქტივობისთვის. „სამოსელი პირველიდან“ გაყიდული ჩოხის ფულით პოლიტიკურ მოღვაწეობას ნაღდად არ დაიწყებს.

– შეძლებს ვასაძე რაიმე სერიოზული შედეგის დადებას?

– სერიოზული შედეგის დადებას ვერ შეძლებს, მაგრამ სიტუაციის არევა ყოველთვის შეიძლება.

ქართველი საზოგადოება დღეს არ არის იმისთვის მზად, რომ თუნდაც ამ თემის გამო დაიწყოს რევოლუცია. გეიაღლუმი არ არის ის თემა, რომელიც ბატონ ვასაძეს ქართველი ერის ლიდერად აქცევს.

პოლიტიკოსებს არაერთხელ დაუბოლებიათ ჩვენი ხალხი, დაჰპირებიან, გაყინულ ანაბრებს დაგიბრუნებთ ან სოციალურ შემწეობებს გაგიზრდითო.

ვასაძე ვერ დაგვაბოლებს, სამაგიეროდ, სერიოზულად მიდის ჩვენი დაბოლება მიუმხრობლობასთან დაკავშირებით, გვიმტკიცებენ, რომ ეს ყოფილა საქართველოსთვის გამოსავალი.

ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ 1918 წელს საქართველომ თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, მაგრამ, 1921 წელს რაც გაგვიკეთეს, ყველას გვახსოვს.

არავინ მითხრას, რომ ახლა სხვა პოლიტიკური მოცემულობაა ან რუსეთი შეიცვალა.

რუსეთის შეცვლა შეუძლებელია, ისევე, როგორც დაუჯერებელია, რომ რაღაც სიწმინდეს იცავენ. ეს არის იდეოლოგიური თამაში. ლიბერალიზმის წინააღმდეგ ან აღვირახსნილი ჰომოსექსუალები ილაშქრებენ, ან ლატენტური. ეს იდეოლოგია ასეთი ადამიანების მიერ არის შექმნილი.

საქართველოშიც არიან ასეთი ადამიანები. ჩვენი საზოგადოების ნაწილი ხმალამოღებული იცავს სხვისი უკანალის სიწმინდეს. არადა, ეს ადამიანები ფეხქვეშ ეგებოდნენ იმ ჰომოსექსუალებს, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებაში სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ.

ქართველი ადამიანი საკმაოდ გონიერია და ასეთ პროვოკაციებს არ წამოეგება. ვინც არ არის გონიერი, მან კათარზისი, ხიფათის გზა უნდა გაიაროს. რანაირად ვუთხრა მე ამ ხალხს, წიგნი წაიკითხე და ისტორიული წყაროები მოიძიეო.

ქართულ ტრადიციებს რომ აწვებიან, რანაირი კაცობაა, ვიღაცის საჯდომის სადარაჯოზე დადგე ქუჩაში, მერე ამით ქულები დაიწერო და პოლიტიკაში მოხვიდე. ყველამ თავის თავს მიხედოს.

ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, ბავშვები შიმშილით იღუპებიან და ამ დროს ვიღაცის საჯდომის გამო გინდა ხელისუფლების დამხობა. ეს, სხვა თუ არაფერი, სასაცილოა.

– ამ თემით შეიძლება „ოცნებას“ ვერაფერი დააკლოს, მაგრამ სხვა თემების გამოყენებით თუ შეუძლია ვასაძეს ხელისუფლების დამხობას?

– რისი შემძლებია. გეუბნებით, პოლიტიკურად ერთი მშიშარა ადამიანია, რომელსაც აქვს რაღაც ვალდებულებები და იმ ვალდებულებების ფარგლებში მოქმედებს. ბედნიერებაც კი ვერ მოძებნა ამდენი ხანი, დღემდე გაიძახის, ვეძებო.

– არის ასეთი ვერსიაც, რომ ის და ივანიშვილი შეკრულები არიან და ყველაფერი შეთანხმებულად კეთდება. მათ კავშირს გამორიცხავთ?

– რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ. ვასაძესთან ყველაზე დიდ პრორუსებსაც კი ვერ ექნებათ რაიმე კავშირი.

– რატომ?

– ძალიან დიდი ამბიციები აქვს და ზღვარგადასული ქედმაღლობით გამოირჩევა. ერთ რამეს ვურჩევდი ვასაძეს, რომ მივიდეს ევტუშენკოვთან, რომელმაც თავის დროზე დიდი ფული აშოვნინა და სთხოვოს, პოლიტიკაში ნუ გარევს.

რაინდისთვის ძალიან შეუფერებელია, როცა სხვისი საჯდომის დაცვის ხარჯზე მოდიხარ პოლიტიკაში.

– ფიქრობთ, რომ საჯდომების დაცვის რევოლუცია არ იქნება?

– არა. მინდა გავანბილო ამ სადარაჯოზე მდგომები – პოლიტიკური წარმატება ვერ ექნებათ. საქართველოს ბევრად მეტი პრობლემა და გამოწვევა აქვს, ვიდრე სხვისი საჯდომების მწყემსვაა.

– თან გავარკვიეთ, რომ რუსეთი, საიდანაც არის ნაკარნახევი ეს ყველაფერი, ბევრად უფრო სექსუალურად გადახრილი ყოფილა, ვიდრე გარყვნილი დასავლეთი.

– ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი მოგიყვანეთ და კიდევ შემიძლია ჩამოთვლა, მაგრამ აკაკი წერეთლის ერთი ლექსით შემოვიფარგლები, რომელიც მას რუსეთში ნანახმა დააწერინა:

ვნახე რუსეთი,
ველნი, ვაკენი,
ქალნი უნიფხვო,
კაცნი მაკენი.

ვინმე ფიქრობს, რომ კაცნი მაკენი აკაკიმ იმიტომ დაწერა, რომ სმისგან მუცელი ჰქონდათ გაბერილი? არა, ბატონო. აკაკიმ მათი ჰომოსექსუალური მიდრეკილებები იგულისხმა.

ვლადიმერ მახათაძე ვაზიანის ბაზაზე გარდაცვლილი იპოვეს

ვაზიანის ბაზაზე სამხედრო მოსამსახურე გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურის, რიგითი ვლადიმერ მახათაძის (29.10.1994) გარდაცვალების გამო. სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე 12 მაისს ვაზიანის საველე წვრთნების ბაზაზე გარდაცვლილი იპოვეს.

ამ ეტაპზე ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთ საგამოძიებო სამმართველომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ცინცაძე: „გახარია ნომინალურ პრემიერობას არ დათანხმდება“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, შეცვლის თუ არა მამუკა ბახტაძეს გიორგი გახარია.

– უსუფაშვილმა თქვა, პრემიერი არის გახარია და არა ბახტაძეო. როგორ ფიქრობთ, გახარიას პრემიერმინისტრობა გადაწყვეტილია?

– პერსონიფიცირების პრობლემაა, ვინ უფრო კარგად არის ქვეყნის არაფორმალურ ლიდერთან. ამერიკის მაგალითი მახსენდება: პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მრჩეველი იყო ბჟეზინსკი უშიშროების საკითხებში, მაგრამ მთელი ამერიკა ფიქრობდა, რომ ის იყო სახელმწიფო მდივანი, რადგან ამერიკის საგარეო პოლიტიკას ის განაგებდა. კარტერს მისი სჯეროდა, ის უფრო ახლოს იყო კარტერთან. ისტორიაში ასეთი ფაქტი ბევრია.

გახარია ქვეყნის რეალურ პირველ პირთან უფრო ახლოს არის და მეტი ნდობა აქვს, მაგრამ იქ ბჟეზინსკიმ საქმით დაამტკიცა, რომ ძლიერი დიპლომატი იყო.

დაამტკიცა თუ არა გახარიამ, რომ ძლიერი პროფესიონალია, ვერ გეტყვით, თუმცა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ფონზე, გახარიას აღმოაჩნდა პოლიტიკოსის ნიშან-თვისებები, პოლიტიკოსის ალღო, სხვებზე ბევრად დამაჯერებლად გამოიყურება. რაც მთავარია, ის ნამდვილად არის ძლიერი პიროვნება. ის შეცდომას აღიარებს. მას შეუძლია უკანდახევა. ეს მხოლოდ ძლიერს შეუძლია. სუსტს ეს არ შეუძლია.

თავად დავით უსუფაშვილი, რომელიც თქვენ ახსენეთ, ძლიერი პოლიტიკოსია, ძლიერი თეორეტიკოსია, როგორც პროფესიონალი, ძალზე ძლიერია, მაგრამ პიროვნულად არ არის ძლიერი. პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად არის პოლიტიკოსი ძლიერი.

– გახარია ყოფილი პრემიერებისგან განსხვავებული პრემიერი იქნება?

– ნამდვილად იქნება, მაგრამ, რამდენად იქნება უკეთესი? ეს არის აქ მთავარი კითხვა. რამდენად იქნება ის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები.

ვინ იღებს დღეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას?! თუ გახარიას პოლიტიკური ნება ეყოფა, მაშინ მან უნდა თქვას, რომ ადამიანების ყოფა უნდა შემსუბუქდეს და მის სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. მაგალითად, საწვავზე აქციზი გააუქმოს, რაც გარკვეულწილად გამოიწვევს ცხოვრების ოდნავ მაინც გაიაფებას. კიდევ, წამლებზე ფასები დაიწიოს. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს გახარიამ, რომ ეფექტი გამოჩნდეს, რომელიც ყველა ოჯახში შეაღწევს და ყველა ადამიანს შეეხება და არა მხოლოდ ერთეულებს.

ფულზე, რომელიც ბიუჯეტს დააკლდება, უნდა თქვას, რომ ამ სახსრებს გამონახავს ანუ შეავსებს. ერთი სიტყვით, „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკა რეალობად უნდა აქციოს. არაეფექტური ხარჯებისგან თავი უნდა შეიკავოს ახალმა პრემიერმა.

დღევანდელი პრემიერი ამის გამკეთებელი არ არის. ამას პოლიტიკური ნება და ძლიერი ხელი სჭირდება. საფრანგეთში იყო ასეთი მინისტრი, არისტიდ ბრიანი, რომელიც ხან ეკონომიკის მინისტრი იყო, ხან – განათლების და ხანაც – თავდაცვის. 15-ჯერ იყო მინისტრი. ის უნივერსალი კი არ იყო, ის იყო ძლიერი პიროვნება და საფრანგეთს მაშინ სჭირდებოდა სწორედ ასეთი ფიგურა.

– თუ გახარია პრემიერი გახდა, რამდენად შეძლებს ივანი შვილის დარწმუნებას?

– სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული გახარიას ეფექტურობა. დარწმუნების უნარი უნდა ჰქონდეს.

– შეძლებს ის ივანი შვილისგან ცოტათი მაინც დისტანცირებას?

– რთული სათქმელია. თუ დაარწმუნებს ბიძინა ივანიშვილს და ამის ეფექტი აღმოაჩნდება, მაშინ კარგი პრემიერი იქნება. მე არ მგონია, რომ გახარია პრემიერის რანგში ივანიშვილის ჩრდილში ყოფნას აპირებდეს.

– მაშინ, შეიძლება, კვირიკა შვილის ბედი გაიზიაროს.

– ესაა საქმე! ეს მან ისე უნდა შეძლოს, რომ კვირიკა შვილის ბედი არ გაიზიაროს. აი, რამდენად მოახერხებს, ამაში გამოჩნდება მისი სიძლიერე.

რა, არ იცის, რომ ნომინალური ფიგურაა, ნომინალური პრემიერია, რომ არაფერს წყვეტს? ადამიანურად ეს არავის სიამოვნებს, მაგრამ ამას ვიღაც ეგუება და ვიღაც – არა. მე არ მგონია, რომ გახარია ნომინალურ პრემიერობას დათანხმდეს, მეტიც, შეეგუოს.

გახარია ისეთ თვისებებს ავლენს, რაც არ ახასიათებდა არც კვირიკა შვილსა და არც ღარიბაშვილს. მაგალითად, მან აღიარა, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული სერიოზული გამოწვევაა, თან ის კომუნიკაბელური ადამიანია, შეუძლია ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო პირისთვის.

– კვირიკა შვილს პრესასთან ურთიერთობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით გახარიაზე.

– დიახ. პოლიტიკოსი, რომელიც ჟურნალისტის კითხვას გაურბის, ვითომ ვერ გაიგო, ამას ხალხი ხედავს, ის იმ დროს ხალხს გაურბის. გახარიას სტილი ეს არ არის, მას შეუძლია, ჟურნალისტს გაუჩერდეს.

გახარია ძალიან ელასტიკურია, მაგრამ, სადაც საჭიროა, ძალიან მკვეთრიც არის. ერთი სიტყვით, მას აქვს ის თვისებები, რომლებიც სჭირდება პოლიტიკოსს, ლიდერს, მაგრამ, რამდენად შეძლებს მის გამოყენებას, როგორი პრემიერი იქნება, ეს მხოლოდ საქმეში გამოჩნდება.

ზუგდიდში დავით სერგეენკოს პირიდან ლუკმა გააგდებინეს

დიმიტრი ბიძინაშვილი: „უხერხულია, მინისტრი ქეიფობდეს მაშინ, როცა 76.000 ბავშვი შიმშილობს“

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ზუგდიდში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს უკვე რესტორნებში უცვივდებიან.

ასეთმა შევარდნამ გუშინ, 12 მაისს, ქვეყნის მთავარი ექიმი, სამეგრელოს გუბერნატორი და ზუგდიდში მერობის კანდიდატი ხახამშრალი დატოვა.

ინციდენტი ზუგდიდის ცენტრში მდებარე რესტორან დიარონში მოხდა. აღნიშნული რესტორანი დასავლეთ საქართველოში საუკეთესო რესტორნად ითვლება და, როგორც ზუგდიდელები ამბობენ, იქ საოცარ გებჟალიასა და ელარჯს ამზადებენ.

ამ საოცრებების დასაგემოვნებლად შევიდა რესტორანში საქართველოს მესამე პრეზიდენტის ძმა, დავით სააკაშვილი.

ოპოზიციის განმარტებით, მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ სუსის თანამშრომლები და მისი პროვოცირება ცადეს.

– სუსის პროვოკატორები ყველანაირად ცდილობდნენ ოპოზიციონერის პროვოცირებას. ისინი იმასაც კი არ ერიდებოდნენ, რომ იმ დროს დარბაზში ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკო, სამეგრელოს გუბერნატორი მოწერელია და ზუგდიდის მერობის კანდიდატი გეგა შენგელია ისხდნენ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი.

ბიძინაშვილი ამ ინციდენტის თვითმხილველი და მონაწილეა. მას უნდა ვუმადლოდეთ იმის გაგებას, თუ რა სუფრა ჰქონდათ გაშლილი „ოცნების“ რჩეულებს.

რესტორან დიარონს კუპეები არა აქვს და სერგეენკო და კომპანია უცხო თვალს ვერ მოეფარებოდნენ.

სწორედ ამან აიძულა ისინი, ამდგარიყვნენ და ხელუხლებელი სუფრა დაეტოვებინათ. სუფრა კი მართლა შთამბეჭდავი იყო.

– სუსის თანამშრომლები მინისტრს და გუბერნატორსაც არ ერიდებოდნენ, ძალიან ცუდად იქცეოდნენ. იმდენად ამაზრზენი იყო ეს ყველაფერი, რომ ისინი რესტორნიდან გაიქცნენ, საჭმლის ჭამაც კი ვერ მოახერხეს, სუფრა ხელუხლებელი დატოვეს, – აღნიშნავს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

დიმიტრი ბიძინაშვილმა ამ სუფრას ფოტოც გადაუღო. „ახალი თაობაც“ გთავაზობთ ამ ფოტოს.

– ხბოს ნეკნი, შემწვარი წიწილა, ხარჩო, გებჟალია, ელარჯი, მეგრული ხაჭაპური,

სულგუნი, ბადრიჯანი ნიგვზით, მოხარშული დედალი, საცივი, – ეს არის იმ კერძების არასრული სია, რომლებიც ამ სუფრაზე იდო.

ქეიფის გაგრძელების შემთხვევაში კიდევ ბევრი კერძი შემოემატებოდა სუფრას.

სამარცხვინოა, როცა სამეგრელოში, სადაც ცოტა ხნის წინ 15 წლის მოზარდმა გაჭირვების გამო თავი ჩამოიხრჩო, ასეთი სუფრებს შლიან ხელისუფლების წარმომადგენლები.

დავით სერგეენკო სანამ ნოყიერ საჭმელს შეჭამს, გაიხსენოს, რომ ოფიციალურად ყოველ წელიწადს 76.000 ბავშვი შიმშილობს და 300 ბავშვი იღუპება საკვების არქონის გამო, – ამბობს ბიძინაშვილი.

დავით სერგეენკოსგან განსხვავებით, წინა კვირას ნამდვილად გაუმართლა გიორგი გახარიას. მან სოფელ კახათში ერთ-ერთ ოჯახში იქეიფა. იმ სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა.

ჩვენი წყარო ზუგდიდიდან გვიყვება, რომ სპეციალურად გახარიასთვის ჩამოიტანეს თურქეთიდან საუკეთესო ხარისხის ხილი. შს მინისტრი ხილს არ გაჰკარებია და მხოლოდ მეგრული კერძები მიირთვა.

საინტერესოა, ამ კვირაში რომელ მინისტრს მოუწევს ზუგდიდში ქეიფი.

ირაკლი კობახიძე: „იუსტიციის საბჭოსთან დაკავშირებით სრული კონსენსუსის მოლოდინია“

– განხილვა აუცილებლად სრული კონსენსუსით დასრულდება და სრული კონსენსუსით წარვადგენთ იმ პროექტს, რომელიც იქნება სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მართლმსაჯულების რეფორმის მეოთხე ტალღასთან დაკავშირებით გამართული ორდღიანი სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, სრული კონსენსუსის მოლოდინია იუსტიციის საბჭოს ნაწილთან დაკავშირებითაც.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პარლამენტიდან აცნობეს, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საბოლოო რედაქციის გასავლელად კიდევ ერთი შეხვედრა იქნება საჭირო და თვის ბოლოს კანონპროექტის ინიცირება მოხდება.

– დაგვრჩა ორი-სამი ღია საკითხი, რასთან დაკავშირებითაც დამატებით დაგვჭირდება კონსულტაციები, შემდგომი კიდევ ერთი შეხვედრა, მათ შორის, ამ საკითხზე და ამის შემდეგ უკვე დაინიცირდება თვის ბოლოსთვის საბოლოოდ, კანონპროექტი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გვექნება შეჯერებული პოზიცია თითოეულ ნორმასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება წარმოდგენილი ამ პაკეტში. ეს იყო ძალიან რთული პროცესი, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა, იყო განსხვავებული პოზიციები სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, თუმცა, ჩვენ, ამ პროცესის საფუძველზე, მოვახერხეთ კონსენსუსის მიღწევა რეფორმის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი განმარტებით, დასაზუსტებელია კონკრეტული რეგულაციები, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის საჯაროობას უკავშირდება.

– აქ არის საუბარი ფორმულირებების დაზუსტებაზე, რაც არის მნიშვნელოვანი საკითხი, ასევე, გარკვეული დაზუსტებები შეეხება მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურას – ესეც აისახება შესაბამის კანონპროექტში. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რაზეც გვექნება დისკუსია და არის ასევე, გარკვეული საკითხები, იგივე, სკოლის ნაწილში, დისციპლინურ ნაწილში, რაზეც დამატებით გვექნება სამუშაო პროცესი, დაზუსტდება ფორმულირებები და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დარწმუნებული ვარ, სრული კონსენსუსით დასრულდება ეს პროცესი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მამუკა გამყრელიძე: „ამ ხელისუფლების ცვლილება ზუგდიდიდან დაიწყება“

„ადრე პესიმისტურად ვიყავი განწყობილი, ახლა დიდი იმედი გამიჩნდა“

ნონა ცაბაძე

„ხან ერთი ძალა მოვა ხელისუფლებაში და ხან – მეორე. ხელისუფლების ცვლილება ტრაგედიად არ უნდა აღიქმებოდეს“

„მე ძველი უშიშროების თანამშრომლებსაც ველაპარაკე, ყოფილ პოლიციელებსაც და ყველა ამბობს, რომ ეს უბედურება იყო ჩვენი პრობლემა, შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული. არჩევნებში ყოველთვის იყო ჩაბმული პოლიცია და უშიშროება და ეს უნდა დამთავრდეს. უნდა გაიგოს ყველა ხელისუფლებამ, რომ ეს იარაღი თავადვე მოუტრიალდებათ“

„ახალი თაობის“ კითხვებს ოპოზიციური გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, გასული დღეები ზუგდიდში გაატარეთ, კარდაკარი ჩაატარეთ. რა ხდება, რა სიტუაციაა? ფიქრობენ, რომ ყველაზე მწვავე წერტილი ამ შუალედურ არჩევნებში სწორედ ზუგდიდის მერის არჩევნები იქნება. რას იტყვით თქვენ?

– სამეგრელო არის ყველაზე აქტიური რეგიონი პოლიტიკურად. 2003 წლის მოვლენებიც სწორედ სამეგრელოდან დაიწყო. ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნა უპირველესად სწორედ სამეგრელოში ჩნდება ხოლმე. სამწუხაროდ, თბილისი უფრო პასიურია ყოველთვის და ყოველთვის ელოდება რაღაცას.

რეგიონებში ხალხმა უფრო მტკივნეულად გადაიტანა ეს ყველაფერი, უფრო მძიმედაა იქ სიტუაცია. შეჩერებულია იქ ცხოვრება. დავიარეთ სოფლები და ყველგან ერთი და იგივე ხდება. შეჩერებულია სიცოცხლე. ანაკლიაში ვცხოვრობ ხოლმე, სამეგრელოში რომ ჩავდივარ და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს იქაურობა, კატასტროფულ ფილმებში რომ არის.

– რას გულისხმობთ?

– რაღაც იყო იქ აშენებული და უცბად გაჩერდა ყველაფერი. მიტოვებული მშენებლობები, მიტოვებული საბავშვო მოედნები, მიტოვებული ტურისტული ნაგებობები, გული გაგისკდებათ!

– გაჩერდა ანაკლიის განვითარების პროცესი?

– რა თქმა უნდა, გაჩერდა. საერთოდ შეჩერებულია ყველაფერი. ეს იყო რეალური სამუშაო ადგილები და აღარ არის. ხალხი, რომელიც გარშემო სოფლებში ცხოვრობდა, დასაქმებული იყო სწორედ ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ეს ხალხი ამით არჩენდა ოჯახებს. შესაბამისად, ეს ადამიანები ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ეკონომიკურად.

მერე ამ ყველაფერს დაერთო ფაროსანას თემაც. 45 მილიონი გამოუყვიათ ფაროსანის შეწამვლაზე. ხეს რომ შეარხევ, წვიმასავით მოდის ფაროსანები. ჩანასახშივე უკვე გაფუჭებულია ნაყოფი. როგორც მითხრეს, ამ სითხეს აზავებენ, რაღაცას ურევენ, რეალურად ფულს იპარავენ და უხარისხო წამლით ატარებენ ამ სამუშაოებს, ფულს კი ჯიბეში იდებენ უნამუსოდ.

ამას ხომ ხედავენ იქ მცხოვრებლები?! ადრე რაღაცა კეთდებოდა, რაღაცა მოძრაობა იყო, დღეს კი არაფერი კეთდება და მავნებლობას აქვს ადგილი.

– ხელისუფლებას რა შანსები აქვს ზუგდიდში?

– ადრე ხომ სულ ამბობდნენ, რომ ზუგდიდი არ არის მნიშვნელოვანი. ახლა დაინახეს, რომ სწორედ იქ ხდება ხელისუფლების ცვლილების პროცესი. ზუგდიდი გახდა დღეს ხელისუფლების ცვლილების ცენტრი.

დღეს აქ ხელისუფლების ცვლილების ავანგარდში დგას სანდრა რულოვსი, რომელიც გამოჩნდა და ჩამოყალიბდა, როგორც ოპოზიციური მოძრაობის ახალი ლიდერი, მნიშვნელოვანი და ძალიან ძლიერი.

ამ ქალმა გვიჩვენა უმაღლესი სტანდარტები ნამდვილი ქართველი ევროპელისა. ეს ქალი ბევრად უკეთესად მეტყველებს ქართულად, ვიდრე ზოგიერთი ქართველი, რომელიც უმაღლეს პოსტს იკავებს სახელმწიფოში. მშვენივრად ერკვევა იმ პრობლემატიკაში, რომელიც დღეს ამ რეგიონს აქვს. ეს ადამიანი არის მზად, არც ერთი წუთი არ შეჩერდეს.

– ამ ფონზე რას აკეთებს „ოცნება“?

– სამთავრობო დესანტი გადმოსხეს ზუგდიდში. ძალიან შევშფოთდი, როდესაც მათ ჩამოსვლას ვუყურებდი, დაფახფახებული ვერტმფრენით ჩამოფრინდნენ, 4 ცალი ჰყოლიათ, დაუშლიათ და იმ 4-დან ეს 1 ძლივს ააწყვესო. ყველაფერი დაშალეს და გაანადგურეს. ვერტმფრენებიც კი აღარ გვაქვს, დაანგრიეს, გააჩანაგეს სახელმწიფო ამ ვერაგებმა!

ჩამოფრინდნენ და, რომ იტყვიან, შემოესივნენ ზუგდიდს. რამდენიმე მინისტრი იყო, დეპუტატები, პრემიერი, ისეთი სერიოზული შემართებით, რომ აი, ისინი გადატეხენ ამ პროცესს.

– შეძლებენ?

– არაფერიც არ გამოუვათ! გარდა მაგისა, ჩვენ ვნახეთ ზონდერებიც. ის ადამიანი, რომელმაც დაარბია სანდრა რულოვსის გამარჯვებული უბნები, წინა არჩევნებზე, ყუთები გაიტაცეს და დაამტვრიეს, სწორედ ეს ადამიანი ამოიცნეს. ასევე იქ არის კობა კობალაძე, რომელიც ამ ზონდერებს ხელმძღვანელობს.

მოკლედ, მთელი დატვირთვით ჩამოვიდა სახელისუფლებო გუნდი, რომელიც აპირებს ნაცადი ხერხების გამოყენებას, რომ ისევ თვითონ გაიმარჯვოს. სახელითა და გვარებით შემიძლია გითხრათ პოლიციელები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისშიც და ეს ადამიანები არიან ჩამოსული ზუგდიდში, რომ რაღაცნაირად გაამაგრონ ხელისუფლების პოზიციები.

– მოსახლეობაში რა განწყობაა?

– ჩვენ ფეხდაფეხ დავიარეთ სოფლები. ერთ სოფელში დავთვალე და 30 ოჯახიდან, სადაც შევედით, 2 იყო მარტო „ქართული ოცნების“ მომხრე. დანარჩენი ყველა სანდრას უჭერს მხარს.

მე ძალიან კარგად მესმის, რომ ბოლო დღეებში იქნება ძალიან სერიოზული ზეწოლა, იქნება დაშინება, იქნება მოსყიდვა. მე გეტყვით იმას, რაც ზუსტად ვიცი, ხშირად 100-დან 150 ლარამდე აძლევენ ადამიანს იმისთვის, რომ საკუთარი პასპორტი ათხოვონ. ალბათ ბევრი ცდუნებას ვერ გაუძლებს, რადგან 150 ლარი დიდი ფულია ამ წუთას სამეგრელოში. ჩვენ ვცდილობთ, გავამხნევოთ ხალხი, თუმცა ვიღაცა, რა თქმა უნდა, მაინც გაიყიდება. თუ არ გაიყიდა ხალხი, მაშინ არაფერი გამოუვათ!

– სიტუაციის დაძაბვას ელოდებით? კორცხელი გამეორდება?

– მსგავს ინციდენტებს უკვე აქვს ადგილი. მაგალითად, ზალიკო უდუმაშვილსა და ხატია დეკანოიძეს დაესხნენ თავს. დაგვირეკეს ჩვენ, სასწრაფოდ მივცვივდით და, როგორც კი მივედით, მაშინვე გაიქცნენ ის ზონდერები, თანაც ნასვამები იყვნენ. პოლიციაც მოვიდა, არავინ დააკავა, არც არაფერი უთხრა. უბრალოდ, გამოჩნდნენ და წავიდნენ.

პოლიცია დადის, აკონტროლებს სიტუაციას, მაგრამ ბრძანება აქვთ მიღებული, რომ ასეთი ინციდენტების დროს არ ჩაერიონ და, პირიქით, ჩვენ შეგვიშალონ ხელი მუშაობაში.

მე ძველი უშიშროების თანამშრომლებსაც ველაპარაკე, ყოფილ პოლიციელებსაც და ყველა ამბობს, რომ ეს უბედურება იყო ჩვენი პრობლემა, შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული. არჩევნებში ყოველთვის იყო ჩაბმული პოლიცია და უშიშროება და ეს უნდა დამთავრდეს. უნდა გაიგოს ყველა ხელისუფლებამ, რომ ეს იარაღი თავადვე მოუტრიალდებათ.

– დაიწყება ზუგდიდიდან ხელისუფლების ცვლილება?

– ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს. სიმართლე გითხრათ, ბევრად უფრო პესიმისტურად ვიყავი განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მოთავე იმისა, რომ ქალბატონი სანდრა ყოფილიყო ზუგდიდის მერობის კანდიდატი, მე და ჩემი მეგობრები ვიყავით. ჩვენი და ქალბატონი სანდრას სურვილები ერთმანეთს დაემთხვა და მივიღეთ არაჩვეულებრივი კანდიდატი.

ბოლო პერიოდში ძალიან დიდი იმედი გამიჩნდა გამარჯვების. 11 მაისს წამოვედი ზუგდიდიდან და ფეხები უკან მრჩებოდა, გული მწყდებოდა, რომ მოვდიოდი.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ხელისუფლების ეს ცვლილება სწორედ ზუგდიდიდან დაიწყება. ეს არის ხელისუფლების ცვლილება და არა – გამარჯვება, როგორც ეს ხშირად გვსმენია.

ხან ერთი ძალა მოვა ხელისუფლებაში და ხან – მეორე. ხელისუფლების ცვლილება ტრაგედიად არ უნდა აღიქმებოდეს.

სამართალი

გარდაბანში 21 წლის თ.ა. დააკავეს

პოლიციამ გარდაბანში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული თ.ა. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 45 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კვიპროსის აეროპორტში საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს

11 მაისს კვიპროსის აეროპორტში სამართალდამცველებმა საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს.

როგორც დაკავებულები „რუსთავი 2“-ს ატყობინებენ, ერთ-ერთი მათგანი დიაბეტითაა დაავადებული.

შალვა სპიროვის განცხადებით, ის შეუძლოდ გახდა, ექიმთან მიიყვანეს, თუმცა მისთვის მედიკამენტოზური დახმარება არ გაუწევიათ.

დაკავებულებს არ აქვთ საკვები და წყალი, სჭირდებათ დახმარება. მათ არც იმას ეუბნებიან, თუ როდის მოხდება მათი გათავისუფლება.

– ბიძა მყავს გარდაცვლილი. ლარნაკას აეროპორტში ჩამოვფრინდი, რომ ოჯახს მივუსამძიმრო. ბიძაშვილები, ბიცოლა, ყველანი მელოდებიან. ასე გადმოგვიყვანეს ოთახში, ერთს ეუბნებიან, სიტყვაზე, რომ თანხა არასაკმარისი გაქვს, მაგრამ საკმარისზე ორჯერ მეტი აქვს. მეორეს ეუბნებიან, რომ სასტუმრო არ აქვს დაჯავშნული, როდესაც კომპანია გვეუბნება, რომ დაჯავშნულიც არის სასტუმრო და გადახდილიც არის.

ბარგი ჩამორთმეული გვაქვს, საბუთები ყველაფერი ჩამორთმეული გვაქვს. გამოგვიყვანეს აქეთ, როგორც ვვარაუდობ, რაღაც დროებითი მოთავსების ოთახია. წყალი არ გვაქვს, დასალევი წყალი ტუალეტში მოდის ცხელი წყალი. წყალი არ გვაქვს, საჭმელი არ გვაქვს.

მე პირადად ერთს ვუთხარი, რა მიზეზით დამაკავეთ-მეთქი, სიცილით მითხრა, უბრალოდ, არ მომეწონე და არ გიშვებო. აქ ვინც ვართ ოთხი, არანაირი დარღვევა არაფერი არ გვაქვს. შემიძლია ვივარაუდო, რომ ელოდებიან სამშაბათს, რომ შემდეგი რეისი იყოს და ჩაგვსხან ისევ უკან თვითმფრინავში და გამოგვიშვან, – აცხადებს შალვა სპიროვი.

დაკავებულები დახმარებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვენ.

ცოტნე დადიანის ქუჩაზე მოპედი „სპრინტერს“ შეეჯახა

10 მაისს თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ავტოავარიისას მოპედი „სპრინტერს“ შეეჯახა.

მოპედს არასრულწლოვანი მართავდა, რომელიც შემთხვევის შედეგად დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი. მისი ტრავმები სიცოცხლისთვის საშიში არ არის.

როგორც საქართველოს პირველ არხს შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ხაშურთან ქორწილის ოპელი მერსედესს დაეჯახა

8 ადამიანი დაშავდა

საქორწინო ესკორტის მანქანები ერთმანეთს შეეჯახა. შემთხვევა 11 მაისს ხაშურის შესასვლელში მოხდა.

შეჯახების შედეგად „ოპელისა“ და „მერსედესის“ მარკის ავტომანქანებში მყოფი 8 ადამიანი დაშავდა. ისინი ხაშურის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შსს-მ გამოძიება სსკ 276 მუხლის მე -2 ნაწილით დაიწყო. აღნიშნული მუხლი გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანების ჯანმრთელობას ზიანი მიაყენა.

რატომ არ თანხმდება სოხუმი დონეცკისა და ლუგანსკის აღიარებას?

ოკუპირებული რეგიონების დელეგაციები დონეცკში ჩავიდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების რეჟიმების დელეგაციები ამ დღეებში დონეცკს სტუმრობდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შექმნის მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

მაისის რამდენიმე დღე უკრაინის თვითმარქვია სახალხო დონეცკის რესპუბლიკისათვის გამარჯვების გამომხატველი და საზეიმოა. 9 მაისის ზეიმის რამდენიმედღიან აღნიშვნას უკვე მეხუთე წელია, რესპუბლიკის დღე მოსდევს, რომელიც დონეცკსა და ლუგანსკში ასევე გამარჯვებად მიიჩნევა.

ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი და აფხაზეთის ფაქტობრივი პრემიერი ვალერი ბგანბა დონეცკში დელეგაციების სხვა წევრებთან ერთად ზეიმობდნენ.

წლევანდელი ღონისძიებები დაემთხვა კრემლის გადაწყვეტილებას დონბასისა და ლუგანსკის მოსახლეობისთვის რუსეთის პასპორტების გამარტივებულად დარიგების შესახებ.

რუსული პასპორტიზაციის პროცესი დაწყებულია. რუსეთის პასპორტებს უკრაინის დონბასის თვითმარქვია რესპუბლიკებში პირველ რიგში ძალოვნები და სხვა ოფიციალური სტრუქტურების მუშაკები, ასევე მათი ოჯახების წევრები იღებენ. პასპორტებზე რიგები დადგა. ამასთან, დამოუკიდებელი მედიის წყაროების თანახმად, დონეცკელები ლუგანსკელებზე უფრო პესიმისტურად არიან განწყობილი. ამას ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრ ზახარჩენკოს მკვლელობით ხსნიან.

ახლანდელი ფაქტობრივი პრეზიდენტი დენის პუშილინი ესაუბრა დონეცკში ჩასულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ სლოვაკეთისა და ჩეხეთის პარლამენტების დეპუტატები.

შესაძლოა, სლოვაკ და ჩეხ კანონმდებლებთან კონტაქტი საქართველოდან ჩასულმა სეპარატისტებმაც დაამყარეს. ჩეხეთი და სლოვაკეთი აღიარებენ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, წესით, მათი დეპუტატები დონეცკის რესპუბლიკაში არ უნდა დადიოდნენ.

ცხინვალის დე ფაქტო საგარეო მინისტრი დიმიტრი მედოევი შეხვდა თავის დონეცკელ კოლეგა ნატალია ნიკონოროვას. მათ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე ისაუბრეს.

ცხინვალმა დონბასის ორივე რესპუბლიკა 2014 წელს აღიარა და მათთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების დოკუმენტები გააფორმა.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ შარშან რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები სოხუმზე ზეწოლას ახდენდნენ, რომ ეცნო დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

სოხუმს ეს არ გაუკეთებია. შესაძლოა, აფხაზეთის რეჟიმი ასე სიფრთხილის ან რუსეთისადმი უნდობლობის გამო იქცეოდეს. აფხაზეთში ბევრს არ სჯერა, რომ მარჩენალი რუსეთი სოხუმს ბოლომდე გვერდში დაუდგება და ამ საკითხში თბილისს არ გაურიგდება.

– ქართულ მხარესთან ნდობის აღდგენის შესაძლებლობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ აფხაზურ და ქართულ მხარეებს შორის ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, – განაცხადა ამ დღეებში დე ფაქტო საგარეო მინისტრმა დაურ კოვემ.

სოხუმის რეჟიმის კიდევ ერთი უახლესი ამოცანა თავისუფლად გადაადგილების მიღწევაა. ამაში აფხაზეთის ქართველების უფლებების დაცვა არ იგულისხმება. ხაჯიმბას ხელისუფლებას იმ ადამიანების უცხოეთში სიარული აღელვებს, რომლებსაც აფხაზური და რუსული პასპორტები აქვთ, მაგრამ ამ დოკუმენტებით ყველგან ვერ მოძრაობენ.

ამაში სოხუმს ვერც დონეცკი დაეხმარება, ვერც ლუგანსკი და ვერც – მთიანი ყარაბაღი.

„არა თავისუფლებას“, „ძალაც და უფლებაც ოლიგარქს“ — საპროტესტო ლოზუნგები თბილისის ქუჩებში



– „უფრო მორჩილი სასამართლო,“ „არა თავისუფლებას,“ „ძალაც და უფლებაც ოლიგარქს“ – დედაქალაქის უბნებში, ხიდებზე ამ შინაარსის პოსტერები გამოჩნდა. სამოქალაქო აქტივისტებმა ლოზუნგებით ის პოლიტიკა გააპროტესტეს, რომელსაც ხელისუფლება ატარებს. მათ ამ ხერხით საკუთარი უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატეს და თბილისის ქუჩებში ბანერები გამოფინეს.

პროტესტი კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ ერთი წლის წინ განვითარებულ მოვლენებსაც ეხებოდა.

– 2018 წლის 12 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ იარაღი მიუშვირა თავისუფალ სივრცეებში საცეკვაოდ შეკრებილ ადამიანებს და ამის პასუხად ათიათასობით გულანთებული ადამიანის ერთობა მიიღეთ. თქვენ რა თქმა უნდა ბოდიში უნდა მოგეხადათ. თქვენი ბოდიში მიღებულია არა იმიტომ, რომ დავიჯერეთ მისი გულწრფელობის ან გვგონია, რომ ეს ბოდიში რამეს შეცვლიდა, ან ამაზე უარესი არაფერი გიქნიათ, ან ვენდეთ დაპირებებს (ჩვენ უკვე დიდი ხანია, აღარ გენდობით თქვენ), დიდი ხანია, ბოდიში გაქვთ მოსახდელი საზოგადოებისთვის იმ ყველაფრის გამო, რაც ამ წლებში დაგვმართეთ, – ნათქვამია სამოქალაქო აქტივისტების მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში.

საპროტესტო შინაარსის ბანერები ხიდებზე დიდხანს არ გაუჩერებიათ და, როგორც სამოქალაქო აქტივისტები აცხადებენ, მათთვის უცნობია, თუ ვინ ჩამოხსნა ისინი.

თაიმერი

რატომ ტოვებს „აჭარა ჯგუფი“ სათამაშო ბიზნესს?

ორი თვის წინ „აჭარა ჯგუფმა“ სასტუმრო „სტამბაში“ შემავალი კაზინო „ავიატორი“ დახურა. როგორც აღმოჩნდა, ეს ნაბიჯი კომპანიის სტრატეგიის ნაწილია და სათამაშო ბიზნესიდან გასვლა ფინანსურ პრობლემებს არ უკავშირდება.

ამ გადაწყვეტილებამდე „აჭარა ჯგუფის“ მფლობელმა მიმდინარე წლის 1 თებერვალს „აჭარაბეთში“ ონლაინთამაშების მიმართულებით თავისი კუთვნილი წილი 51% 116 მლნ ევროდ გაასხვისა, რომლის მფლობელიც სათამაშო ბიზნესში მსოფლიოში ცნობილი ირლანდიური კომპანია Paddy Power Betfair ჯგუფი გახდა.

Adjara Group Hospitality-ს გენერალური დირექტორმა ვალერი ჩეხერიამ „ფორბსის კვირაში“ განაცხადა, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი და გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯგუფი სათამაშო ბიზნესიდან საერთოდ გამოსვლაზე ფიქრობს.

– ეს იყო შემოთავაზება, საინტერესო შემოთავაზება. ბიზნესურად ავწონ-დავწონეთ და გადავდგით ეს ნაბიჯი, რომ წავსულიყავით ამ გადაწყვეტილებაზე. ეს არის მსოფლიოში უმსხვილესი კომპანია, რომელიც სათამაშო ბიზნესით არის დაკავებული, ძირითადად ონლაინით. ის ფასი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, იყო ძალიან მიმზიდველი და, რასაკვირველია, მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. რაღაც პერიოდის შემდეგ ვფიქრობთ საერთოდ გამოსვლაზე ამ ბიზნესიდან, – განაცხადა ვალერი ჩეხერიამ.

– ის თანხები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, მოხმარდება სრულიად სოფლის მეურნეობის მიმართულების განვითარებასა და ახალი სასტუმროების მშენებლობას, მათ შორის ქვეყნიდან გასვლასაც, – განმარტავს ჩეხერია.

BMG

აზერბაიჯანში ქართველებს პრობლემები აქვთ

სად არის ელჩი?

„თაიმერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, აზერბაიჯანში, იმიშლის რაიონში, ქართული გადამზიდავი კომპანიის 19 მძღოლი ერთი თვეა, უკიდურესად მძიმე პირობებში იმყოფება და მათ უფლებებს არც აზერბაიჯანული მხარე და არც საქართველოს საელჩო არ იცავს.

მძღოლების პრობლემის მიზეზი გახლავთ მსხვილი აზერბაიჯანული კომპანია Grandmotors-ი რომელმაც, მასთან კავშირში მყოფ კიდევ ერთ კომპანია იზფერტ-თან ერთად, ქართულ გადამზიდავ კომპანია MSF-ს თაღლითური გზით „გადაგდება“ დაუპირა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების გადახდაზე უარს აცხადებს.

როგორც „თაიმერისთვის“ ცნობილი გახდა, ქართული გადამზიდავი კომპანიის ხელმძღვანელობამ, მას შემდეგ, რაც შეატყო, რომ აზერბაიჯანული კომპანია თაღლითურად თავს არიდებდა მომსახურების თანხის გადახდას, გადაზიდული 46 რეისიდან ბოლო 19 დაუცლელი კონტეინერის გაჩერება, ტვირთის დაყადაღება და მოცდენის ანაზღაურება მოითხოვა, რამაც თავისთავად 19 მანქანის გაჩერება და მძღოლების მოლოდინის რეჟიმში დარჩენა განაპირობა.

ჩვენი ინფორმაციით, მძღოლებმა ტელეფონით არაერთხელ მიმართეს საქართველოს საელჩოს აზერბაიჯანში, რომ მათთვის ყურადღება მიექციათ, თუმცა ელჩს ზურაბ პატარაძესა და მის უწყებას მათზე რეაგირება არ მოუხდენიათ. საქართველოს 19 მოქალაქე ბზობას, აღდგომასა და სხვა ქრისტიანულ დღესასწაულებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უკიდურესად ცუდ პირობებში შეხვდა, ერთი თვის შემდეგ კი საელჩომ საკუთარი მოქალაქეების უფლებების დასაცავად მძღოლებისაგან კოლექტიური წერილობითი განაცხადის გამოგზავნა მოითხოვა, რათა შემდგომში რეაგირება მოახდინოს.

„თაიმერის“ ინფორმაციით, დაზარალებულმა ქართულმა სატრანსპორტო კომპანიამ აზერბაიჯანელი ადვოკატის მეშვეობით თაღლითობის მუხლით საქმის აღძვრა შეძლო აზერბაიჯანული კომპანიების წინააღმდეგ. თუმცა, საქმე როდის დასრულდება ან როგორ, ჯერ არავინ იცის... ტრაილერის მძღოლები კი საქმის დროულ გადაწყვეტასა და მოცდენის ანაზღაურებას ითხოვენ.

„თაიმერი“ თვალს ადევნებს აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებულ პრობლემებს და მოვლენების განვითარების შესახებ დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას.

(ვიდეო, რომელიც მოგვაწოდეს, 10 მაისს იმიშლიში ქართველი მძღოლის მიერ მანქანების ლოკაციის ადგილზეა გადაღებული).

თაიმერი

რუსთაველის გამზირი კვირაში ერთხელ, შესაძლოა, ავტომობილებისთვის გადაიკეტოს

რუსთაველის გამზირი კვირაში ერთ დღეს, შესაძლოა, ავტომობილებისთვის გადაიკეტოს.

აღნიშნული ინიციატივა ერთ-ერთია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც სამუშაო ჯგუფის შეფასებით, მსჯელობასა და ყურადღებას იმსახურებს.

შეგახსენებთ, რომ კომიტეტმა რამდენიმე დღის წინ თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ თემატური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, თემატური კვლევისას მიღებული ცნობებით, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია, ხოლო ქალაქის ცენტრი ერთ-ერთი უფრო დაბინძურებული ადგილია. აქედან გამომდინარე, ანგარიშის მიხედვით, შესაძლოა, რუსთაველის გამზირი ერთი დღით ავტომობილებისთვის გადაიკეტოს.

– თბილისის მერიამ განიხილოს იმის შესაძლებლობა, რომ შოთა რუსთაველის გამზირი კვირაში ერთხელ (მაგალითად, კვირა დღეს) დაიკეტოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის და გაიხსნას მხოლოდ ქვეითთათვის. საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაძლებელია გამზირზე არსებული 6 საავტომობილო ხაზიდან მხოლოდ ერთი ფუნქციონირებდეს. მსგავსი მიდგომა გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. საკითხი საჭიროებს დამატებით ანალიზს და სხვადასხვა შესაძლო გვერდითი ეფექტის გათვალისწინებას, – ნათქვამია მოკვლევის შედეგებში.

ცნობისთვის, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე რეაგირების მიზნით, 2018 წელს კომიტეტმა დაიწყო პირველი თემატური კვლევა. კვლევის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პარლამენტის ყველა პოლიტიკური სუბიექტს აერთიანებდა.

BPN

„საშიში ლიფტები“, რომლებსაც კანონი ვერ აკონტროლებს

საქართველოში ლიფტების ინსპექტირება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ ლიფტი ინსპექტირებული არ არის, კანონით ჯარიმდება ლიფტის მფლობელიც. ინსპექტირება კი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს.

ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, რომელსაც ლიფტებისა და სხვა საშიში ობიექტების უსაფრთხოების გამოვლენა ევალება, „სიეი ინთერნეიშენალია. კომპანიის გენერალური დირექტორის სანდრო შელიას თქმით, ლიფტების ინსპექტირების ძირითადი ნაწილი ახლად აშენებულ კორპუსებზე მოდის, რომელთაც ვალდებულება აქვთ, ლიფტების ინსპექტირება განახორციელონ, რადგან ისე ობიექტს ვერ ჩააბარებენ, თუმცა, თუ მფლობელები არიან კორპუსების ამხანაგობები, ასეთი ლიფტების პერიოდული ინსპექტირება თითქმის არ ხორციელდება. შესაბამისად, კანონს ძალა აქვს დაკარგული.

სანდრო შელია იმასაც ამბობს, რომ უბედური შემთხვევების უმეტესობა არაპროფესიონალ კადრებსაც უკავშირდება. მისი თქმით, უბანში ხშირად შეხვდებით ე.წ. ხელოსნებს, რომლებიც ლიფტის შესაკეთებლად მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა ლიფტი გაფუჭდება.

შელიას განცხადებით, აუცილებელია, ამ პროცესებში სახელმწიფო აქტიურად ჩაერთოს და მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ლიფტების ინსპექტირება სავალდებულოა.

– ბევრმა ადამიანმა ამ კანონის არსებობის შესახებ არც კი იცის. დღეს სიტუაცია არის ძალიან მძიმე, ამას არ დავმალავ. ჩვენი კომპანია ბაზარზე უკვე სამი წელია ოპერირებს, ყველაზე მსხვილი კომპანია ამ მიმართულებით. ის ინსპექტირებები, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, თითქმის 100% არის ახალი ლიფტების ინსპექტირება. ამის მიზეზი არის ის, რომ მშენებელს უწევს ჩვენთან ლიფტის დაინსპექტირება, იმიტომ რომ ობიექტს ვერ ჩააბარებს თუ არ ექნება ინსპექტირების სერტიფიკატი.

ის ლიფტები, რომლებიც უფრო ცუდ მდგომარეობაში არის და უფრო დაძველებულია, პერიოდულ ინსპექტირებას არ გადის და არ არსებობს მექანიზმები და, სამწუხაროდ, სახელმწიფოსგან არ არის ინიციატივა ან არ აქვს რესურსი იმისთვის, რომ პირველი – საზოგადოების ინფორმირება მოახდინოს იმასთან დაკავშირებით, რომ სავალდებულოა ლიფტების ინსპექტირება და მეორე არის ის, რომ, ამ ინფორმირების გარდა, არ არის რეალური მეთოდი, რომლითაც ეს კანონი ამოქმედდება.

საქართველოში არსებობს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ეს არის მარეგულირებელი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეს საკითხი. თუ ნივთმა გაიარა ინსპექტირება ჩვენ ვდებთ ანგარიშს იმ შეუსაბამობებით, რომელსაც ვაფიქსირებთ და ლიფტის მეპატრონეს ვაძლევთ გარკვეულ ვადას, რომლის განმავლობაშიც ეს შეუსაბამობები უნდა აღმოფხვრას.

მთავარი პრობლემა არის ის, რომ ვერავინ ვერ ახორციელებს ეფექტურ ინფორმირებას; პირველი, რაც უნდა მოხდეს ეს არის ინფორმირება, რომ სავალდებულო არის ლიფტების ინსპექტირება. მე ვთვლი, რომ ამ პროცესებში მერიამ თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივა იმისთვის, რომ ერთობლივად განახორციელოს პროექტი, რომელშიც ჩვენც ვიქნებით ჩართულები, რომ ერთიანად რაღაც ანალიზი ჩატარდეს, უნდა გავიგოთ რა პრობლემები აქვთ ლიფტებს. ეს კი იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ არსებული ლიფტების მდგომარეობა გაუმჯობესდეს და შემდეგ რეალურ ძალაში შევიდეს ის კანონი, რომელიც უკვე არსებობს“, – აცხადებს კომპანია „სი ეი ინთერნეიშენალის“ გენერალური დირექტორი სანდრო შელია.

BMG

„ენერგოსექტორში ინვესტიციების სიმცირე გვაქვს, მომხმარებელი კი, 2016 წელთან შედარებით, 16%-ით გაიზარდა“

ენერგეტიკის რეგულირების მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების შესახებ ისაუბრეს გადაცემაში „პროფესიონალები“. სემეკის წევრ გოჩა შონიას თქმით, ენერგეტიკული ბაზრის მნიშვნელოვან გამოწვევას ენერგიის მოხმარების ზრდა წარმოადგენს.

– მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს საქართველოს ენერგოსექტორში. ყველაზე დიდი გამოწვევა მათ შორის გახლავთ მომხმარებლების ზრდა. დაფიქსირებულია 4.5%-იანი ზრდა, ამ ზრდამ 16% შეადგინა 2016 წელთან შედარებით. სამწუხაროდ, წარმოება ვერ ეწევა მოხმარებას. განხორციელდა მილიარდ-ნახევარი კილოვატ/საათის იმპორტი, ეს კი 2.5 ჯერ მეტია წინა წლებთან შედარებით. ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა სიმძლავრეების სიმცირე, 2018 წელს 5 ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში, მათმა ჯამურმა სიმძლავრემ 65 კილოვატი შეადგინა. თუმცა პრობლემა კვლავ არსებობს. ყველაფერთან ერთად გვაქვს ინვესტიციების სიმცირე, ეს არის კაპიტალტევადი დარგი და ინვესტიციები, რომლებიც დღეს ხორციელდება, საკმარისი არ არის. გამანაწილებელი კომპანიები ზამთრის პერიოდში დიდწილად ელექტროენერგიას კომერციული ოპერატორებიდან იღებენ, რაც ძვირადღირებულია. ეს პირდაპირ მოქმედებს სამომხმარებლო ტარიფებზე. ამიტომ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიყოთ იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებული ქვეყანა. ეს არამარტო სამომხმარებლო ტარიფებზე აისახება, არამედ კარგი საშუალება იქნება მოხდეს საკუთარი წარმოების განვითარება.

მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო როგორც გადამცემ, ისე გამანაწილებელ ქსელში. ზოგიერთი რეგიონი ინვესტორების აქტიურობით ხასიათდება, ასეთი რეგიონია აჭარა, ბაკურიანი, ვაზიანი, სართიჭალა, სადაც გაზრდილია ბიზნესაქტივობები და ასევე დიდია მოთხოვნა ელექტროენერგიაზე. უნდა მოხერხდეს ენერგიის შეტანა ამ რეგიონებში. ბათუმში არსებული ინფრასტრუქტურა ფიზიკურად ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ამჟამად მუშავდება კანონი ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების შესახებ, კანონში გაწერილია ის, თუ როგორი უნდა იყოს ლიბერალური ბაზარი, მუშავდება კონცეფცია, რომელიც აყალიბებს ბაზრის ლიბერალიზაციის ზოგად ჩარჩოებს.

მნიშვნელოვანია ამ პროცესებში კომისიის აპარატის ჩართულობა. ჩვენ გვყავს მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი. რეალურად კომისია არის იმ საფეხურზე, რომ მან შეძლოს ბაზრის ლიბერალიზაციასთან და ახალი კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება“, – ამბობს გოჩა შონია.

კომერსანტი

„ყვითელ“ ავტობუსებზე ყალბი დასკვნების გაცემის ფაქტი – მერია განცხადებას ავრცელებს

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტაციის დამზადება-გასაღებისა და გულგრილობის ფაქტებზე პირველადი ტექნიკური ინსპექტირების სამი ცენტრის ოთხი თანამშრომელი დააკავა. აღნიშნულს განცხადებით თბილისის მერია გამოეხმაურა:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, თბილისში მდებარე პირველადი ტექნიკური ინსპექტირების სამი ცენტრის თანამშრომლების დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. აღნიშნულ განცხადებაში, სხვადასხვა სახის ავტოტრანსპორტთან ერთად, მოხსენიებულია დედაქალაქში მოძრავი ე.წ. ყვითელი ავტობუსები.

როგორც გამოძიების შედეგად დადგინდა, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლების მხრიდან რაიმე სახის ჩარევას ადგილი არ ჰქონია და დანაშაულებრივი ქმედება ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოვლენილა.

ჩვენთვის უცნობია, რის საფუძველზე გასცემდნენ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის თანამშრომლები ყალბ საბუთებს და იმედი გვაქვს, ამას გამოძიება დაადგენს.

შევახსენებთ საზოგადოებას, რომ თბილისის მერიის მთავარი პრიორიტეტი სატრანსპორტო პოლიტიკა და დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვაა. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და დაიწყო მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროცესი.

თბილისის მერია ყოველთვის გამოდიოდა და დღესაც გამოდის ტექნიკური დათვალიერების ზომების გამკაცრების წინადადებით, რადგან ყოველი გაუმართავი ავტოტრანსპორტი დიდ დარტყმას აყენებს დედაქალაქს, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

რამაზ გერლიანი: „საბანკო სექტორის მონოპოლია მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და ფულის სიძვირეს იწვევს“

საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარების პერსპექტივების შესახებ ისაუბრეს გადაცემაში „პროფესიონალები“. გადაცემის სტუმრის, ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის პრეზიდენტ რამაზ გერლიანი თქმით, საფონდო ბირჟის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა პრივატიზაციის პროცესია.

– საფონდო ბირჟები მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში: აშშ-ში, ინგლისში, ჩინეთში, იაპონიაში და ა.შ. არის კერძო კომპანიების ინდექსის სახით ან ინდივიდუალურად წარმოდგენილი. შესაბამისად, თუ გვსურს ჩვენი საფონდო ბირჟის განვითარება, მნიშვნელოვანია გავითავისოთ ის, რომ უნდა მიმდინარეობდეს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, სწორედ ასე იქმნება ბირჟის ბრუნვა. თუ არ არსებობს კომპანია, არ არსებობს სააქციო საზოგადოება, მაშინ გასაყიდიც არაფერი იქნება.

საბანკო სექტორის ერთადერთი მთავარი კონკურენტი სწორედ საფონდო ბაზარია. საბანკო სექტორის მონოპოლია იწვევს მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და ფულის სიძვირეს. ამდენად, თუ გაიზრდება საფონდო ბაზარი, ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს როგორც დაზღვევის ბაზრის, ისე საპენსიო ფონდის სიძლიერეს. როცა საბანკო სექტორისთვის კონკურენტი გაჩნდება ბაზარზე, იაფ ფულზე ხელმისაწვდომობაც გაიზრდება.

ჩვენთან, ფაქტობრივად, საფონდო ბაზარი არ არსებობს, არ არიან ძლიერი სადაზღვევო კომპანიები და, თუკი არსებობენ, ისინიც ბანკების „ქოლგებქვეშ“ არიან, ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურია, რომ ჭარბვალიანობა გვაქვს.

პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა მოხდეს კერძო საკუთრების ფორმირება, რაც გაამძლავრებს საფონდო ბაზარს, სადაც მოხდება ლიკვიდურობის ამაღლება, შესაბამისად, გაიზრდება მასზე მოთხოვნა და მისი მიმზიდველობაც. სწორედ ამ ყველაფრის მერე ცოცხლდება ბირჟა, და იგი, არამარტო ცოცხლდება, არამედ სხვა საბანკო სექტორის დამაბალანსებელი კონკურენტი მხარეც ხდება. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, პირველადი ბაზრიდან აქტივების გადასვლა მეორად ბაზარზე უნდა მოხდეს საქართველოს მოქალაქეებსა და რეზიდენტებთან. აუცილებელია, ამ აქტივების სპეციალური საინვესტიციო ნიშნით პრივატიზება, – ამბობს რამაზ გერლიანი.

კომერსანტი

შემუშავდება სპეციალური რეგლამენტი, რომელიც ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმისას დანაკლისს შეამცირებს

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ თემატური მოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე რეაგირების მიზნით, კომიტეტმა 2018 წელს დაიწყო პარლამენტის ისტორიაში პირველი თემატური მოკვლევა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის ყველა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლისგან შედგებოდა.

ანგარიშში საწვავის ხარისხსა და მონიტორინგზეც არის საუბარი. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, საქართველო უახლოვდება საწვავის ევროპულ სტანდარტებს, თუმცა, ხარისხიანი საწვავი მაინც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება.

შესაბამისად, აუცილებელია სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა და ეფექტიანი განხორციელება. ზეპირი მოსმენისას აქცენტი გაკეთდა საწვავის ფალსიფიცირების რისკზე. გამოიკვეთა, რომ საწვავის ხარისხის შემოწმებისა და მონიტორინგის სისტემა გაუმჯობესებას საჭიროებს.

საქართველოს მთავრობამ 3 თვის ვადაში გარემოს კომიტეტს წარუდგინოს საწვავის ხარისხის მონიტორინგის არსებული სისტემის გაუმჯობესების პროგრამა. აუცილებელია, რომ საწვავის ხარისხზე პასუხისმგებელი იყოს ერთი სახელმწიფო უწყება.

შემუშავდეს და დამტკიცდეს ბენზინგასამართ სადგურებზე პისტოლზე რეზინის ხუფების გამოყენების ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს საწვავის აორთქლებისა და დაღვრის რისკს.

ასევე, მიზანშეწონილია, დაინერგოს ავტოგასამართი სადგურების ეკომარკირების სისტემა. შესაბამისი ლაბორატორიისა და დანადგარების შეძენა საზღვარგამშვებ პუნქტებზე, საწვავის მავნე ნივთიერებებზე მონიტორინგისათვის (მაგ: ბენზპირენი, ფორმალდეჰიდი, ბენზოლი, აკროლეინი, ტყვია, ამიაკი და სხვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებები)“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ცნობისთვის, კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აანალიზებს ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს, (ტრანსპორტი, მშენებლობა, ბუნებრივი მტვერი, საბურავები, აზბესტის შემცველი ხუნდები და სხვა), აფასებს სამართლებრივი რეგულირების სისტემას და გამოკვეთს ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის აუცილებლობას. ამასთან, განიხილავს ჰაერის დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზეგავლენასა და ასაბუთებს ამ მიმართულების პრიორიტეტულობას, წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკისა და თანამედროვე მიდგომების მაგალითებს.

BPN

უცხოური სავალუტო რეზერვები ისტორიულ მაქსიმუმზეა

საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 30 აპრილისთვის საერთაშორისო რეზერვების მთლიანმა მოცულობამ 3,623 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 574 მლნ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2018 წლის აპრილის მონაცემებით, რეზერვების მოცულობა 3, 049 მლრდ დოლარს შეადგენდა.

3,623 მლრდ დოლარიდან სავალუტო რეზერვი 3,422 მლრდ დოლარს შეადგენს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში სავალუტო რეზერვების მოცულობა 2,840 მლრდ დოლარს შეადგენდა. აქტივები ასევე მოიცავს სავალუტო ფონდში 200 მლნ სესხების სპეციალურ უფლებებს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად ყიდულობს დოლარს. 2018 წლის აპრილიდან დღემდე სებ-მა სავალუტო აუქციონზე 462,2 მლნ დოლარი შეისყიდა. ამავე პერიოდში, მიუხედავად ეროვნული ვალუტის კურსის რყევებისა, ეროვნულ ბანკს არც ერთი დოლარი არ გაუყიდია.

კომერსანტი

შენგელი ფიცხელაური ბიძინა ივანიშვილს ბერას ქორწილის დღეს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დიდი ცვლილებებია. სუს-ის უფროსის მოადგილეებს ერთიმეორის მიყოლებით ცვლიან. ალექსანდრე ტაბატაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე შენგელი ფიცხელაურმა უკვე ჩაანაცვლა.

სპეცსამსახურებს შევარდნაძის უშიშროების სამინისტროს პენსიაზე გასული მაღალჩინოსანი წინა კვირაში დაუბრუნდა. სანდო წყარო „კურიერს“ სუს-იდან უყვება, რომ საკადრო ცვლილებები ამით არ სრულდება, შემდეგი, შესაძლოა, ალექსანდრე ბატიაშვილი იყოს. ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრმა, ანზორ ჩუბინიძემ, პრაქტიკულად, არ უარყო მოსალოდნელი ცვლილებები სუს-ში.

შენგელი ფიცხელაური სუს-ში საქმიანობას ოფიციალურად შეუდგა. ფიცხელაურის დაბრუნება ძალოვან უწყებებში დროში ემთხვევა მისი ივანიშვილის დანათესავებას. შენგელი ფიცხელაურის შვილი და ბერა ივანიშვილი ქვისლები გახდნენ. ბერას ქორწილის დღეს ერთმანეთს შეხვდნენ შენგელი ფიცხელაური და ბიძინა ივანიშვილი. ფაქტს შენგელი ფიცხელაური „კურიერთან“ ინტერვიუში ადასტურებს.

ამ შეხვედრიდან ორ თვეში 2019 წლის 22 იანვარს შენგელი ფიცხელაური გიორგი გახარიას მრჩევლად დაინიშნა. გახარიას მრჩევლად ფიცხელაურმა 3 თვის განმავლობაში იმუშავა და უკვე

მაისში ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის სტატუსით „კურიერისთვის“ მიცემულ პირველ ინტერვიუში შენგელი ფიცხელაური ირწმუნება, რომ ეს პოსტი ვახტანგ გომელაურმა პირადად შესთავაზა. 14 წლიანი პაუზის შემდეგ, ძალოვან უწყებაში დაბრუნებაზე 1 თვის განმავლობაში ფიქრობდა, რადგან ამბობს, რომ მას ეს თანამდებობა არ სჭირდებოდა, უბრალოდ სთხოვეს.

შენგელი ფიცხელაურმა ძალოვან უწყებაში საქმიანობა 1976 წლიდან დაიწყო. იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს გამომძიებელი, სასამართლოს თავმჯდომარე, ბოლოს კი შევარდნაძის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი. მისთვის გაუგებარია, რატომ გაჩნდა კითხვები მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

ფიცხელაური არ აკონკრეტებს, გახდა თუ არა სუს-ში საკადრო წმენდისა და გადაადგილებების ერთ-ერთი მიზეზი რამდენიმე კვირის წინ პანკისში განვითარებული მწვავე პროცესები. თუმცა, „კურიერის“ ინფორმაციით, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან უწყებაში ცვლილებები მმართველი გუნდის ლიდერმა სწორედ დაძაბული და ხმაურიანი 21 აპრილის შემდეგ დააჩქარა.

ფიცხელაურის მისვლით სუს-ში საკადრო ცვლილებები არ დასრულებულა. სანდო წყარო „კურიერს“ უყვება, რომ ალექსანდრე ბატიაშვილი მოადგილის პოსტს დაემშვიდობება. ბატიაშვილი სუს-ში კიდევ ერთი მოადგილის, გრიგოლ ლილუაშვილის რეკომენდაციით მოხვდა, თუმცა სანდო წყაროს ინფორმაციით, პოსტს შესაძლოა ლილუაშვილიც დაემშვიდობოს, რომელიც გავლენიან თანამდებობაზე ივანიშვილის ჭარბი ნდობის გამო დაინიშნა. ის წლების განმავლობაში „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა.

„რუსთავი 2“-ის გაკოტრება მიზანმიმართულად ხდება“

რას პასუხობს ნინო ნიჟარაძის ადვოკატს „რუსთავი 2“-ის იურისტი

„რუსთავი 2“-ის 9-პროცენტიანი წილის მფლობელის, ნინო ნიჟარაძის ადვოკატის, გიორგი ყავლაშვილის განცხადებით, „რუსთავი 2“-დან წასული თანხებით ფინანსდება ტელეკომპანია „მესამე“, რაზეც პარტნიორებთან შეთანხმება არ მომხდარა.

ადვოკატის თქმით, ეს არის გაუმართლებლად დიდი ხარჯები, რომლებიც შეიძლებოდა, საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას მოხმარებოდა.

ადვოკატს ეჭვი აქვს, რომ ტელეკომპანიის გაკოტრება მიზანმიმართულად ხდება, რადგან საბიუჯეტო თანხები, შესაძლოა, „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების მიერ დაფუძნებული ტელეკომპანია „მესამეს“ ბალანსზე მიედინებოდეს.

ამის დასტურად ადვოკატმა ნიკა გვარამიას ის კომენტარი მოიყვანა, რომლის მიხედვითაც, „დაიხურება რუსთავი 2 და გაიხსნება ახალი არხი – ახალი სახეებით“.

ადვოკატმა თქვა, რომ ვიდრე სასამართლოს მიმართავდნენ, ტელეკომპანიას ფინანსური დოკუმენტაციის გადმოცემა სთხოვა, რაზეც პასუხი ვერ მიიღო.

– აქედან გამომდინარე, მივმართეთ სასამართლოს, რომლის საშუალებითაც ვითხოვთ ამ დოკუმენტაციის გადმოცემას. ნინო ნიჟარაძის ინტერესი არ ყოფილა ამ საქმის გასაჯაროება, ნიკა გვარამიასგან განსხვავებით, რომელიც გამოვიდა და თქვა, რომ მიზანი „რუსთავი 2“-ის დაქცევაა, რაც სინამდვილეში სიახლოვესაც არ არის რეალობასთან, – თქვა ადვოკატმა და დაამატა, რომ ნინო ნიჟარაძეს კვლავ სურს საკუთარი წილის გაყიდვა, თუმცა ჯერ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის.

„რუსთავი 2“-ის იურისტი თამთა მურადაშვილი ამბობს, რომ აბსურდია იმაზე საუბარი, რომ არხის გაკოტრება მიმდინარეობს და „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მფლობელი ხელისუფლების თამაშს თამაშობს.

რაც შეეხება დაგროვილ გადასახადებს, რაზეც ნინო ნიჟარაძის ადვოკატი საუბრობს, თამთა მურადაშვილის თქმით, არხის 9%-იანი წილის მფლობელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურში რომ გაესაჩივრებინა, მაშინ აღარ გაუჩნდებოდა მსგავსი შეკითხვები.

– არსებითად რაც მე მკაფიოდ დავინახე და კარგია, რომ ითქვა, არის ის, რომ ნინო ნიჟარაძეს არ გაუსაჩივრებია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურში. ადვოკატი ამბობს, რომ დროებითი ღონისძიება ისედაც შეჩერებული იყო. თუმცა ეს არის დროებითი ღონისძიება და არა – არსებითი სარჩელი. არსებითი სარჩელის შედეგი ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

მას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. ანუ მან არ განაცხადა პრეტენზია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ის საუბრობდა ასევე გაკოტრებაზე, სრულიად გაუგებარია, რაზე საუბრობს. გასაგებია, რომ ის თამაშობს ხელისუფლების თამაშს. იმიტომ, რომ სწორედ იქითკენ მიდის გარემოებები, რომ დადგეს ნიკა გვარამიას გადაყენების საკითხი სავარაუდოდ.

თუკი დღეს ჩვენ ვართ ეთერში, ეს არის ნიკა გვარამიას დამსახურება და იმის ნაცვლად, რომ მადლიერი იყოს და ეთერში ვიყოთ, ის საუბრობს ნიკა გვარამიას პასუხისმგებლობაზე.

როგორც ჩანს, მისთვის ასევე გაუგებარია, რას ვითხოვთ სტრასბურში გადასახადებთან დაკავშირებით. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ არასდროს დაუსვამს კითხვა, როგორ სულდგმულობდა კომპანია აქამდე და ეთერში როგორ ვიყავით საერთოდ.

რადგან არ იცის და არ გაუსაჩივრებია სტრასბურში, ვეტყვით, რომ ყადაღის გამოა კომპანია მძიმე მდგომარეობაში და რომ გაესაჩივრებინა მას სტრასბურში, მას ეს ეცოდინებოდა.

რაც შეეხება კომისიის დასკვნას, კომისია არის მხარე, ის მუდმივად ებრძოდა „რუსთავი

2“-ს და ეს დასკვნა, რომელიც კომისიამ გამოაქვეყნა, არის იმისთვის, რომ გაიმართლოს საკუთარი თავი იმ მანკიერი და მახინჯი ნაბიჯების გამო, რომლებიც გადადგა კომისიამ და რომლის გამოც სარეკლამო ბაზარი დაინგრა, შესაბამისად ეს ყველა არგუმენტი არის სრულიად უსაფუძვლო.

პარტნიორთა კრება შედგება, როგორც მათ მოიწერეს, 25 მაისს და ყველა საკითხი განხილული იქნება იქ, – განაცხადა თამთა მურადაშვილმა.

პოლიცია ომარ გამყრელიძის მეორე შვილს, ყოფილ სპეცრაზმელ ნოდარ გამყრელიძეს ეძებს

ყანდაურაში მკვლელობის საქმეზე პოლიცია 85 წლის ომარ გამყრელიძის მეორე ვაჟს, ნოდარ გამყრელიძეს, ეძებს.

ნოდარ გამყრელიძე ყოფილი სპეცრაზმელია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება ყველა მიმართულებით მიმდინარეობს.

„მედიაში და სოფელ ყანდაურის მოსახლეობის ნაწილში გაჩენილ კითხვებზე ომარ გამყრელიძის მეორე შვილთან დაკავშირებით, რომ ის შესაძლოა იყოს ამ საქმესთან შემხებლობაში, განვმარტავთ, რომ გამოძიება მუშაობს ყველა მიმართულებით.

ოჯახის წევრების მიერ მიცემულ ჩვენებებში დაფიქსირდა, რომ ომარ გამყრელიძის მეორე შვილმა 1 მაისს, ანუ ტრაგედიამდე 2 დღით ადრე განუცხადა ოჯახს, რომ რუსეთში მიემგზავრებოდა, თუმცა მას საქართველოს საზღვრის კვეთა არ უფიქსირდება. ოჯახის წევრების ჩვენებით, ის არ გამოსულა მათთან კონტაქტზე და მათ არ აქვთ არანაირი ინფორმაცია მის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით.

ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო საგამოძიებო მოქმედებები მისი ადგილსამყოფელის დასადგენად“, – აცხადებენ შსს-ში.

ამასობაში პოლიციამ ომარ გამყრელიძის შვილიშვილი დააკავა. ახალგაზრდა მამაკაცს გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვა-ტარებას ედავება (სსკ-ის 236-ე მუხლი).

ის დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს, მაგრამ ეს ამბავი აქამდე არ გახმაურებულა. დაკავებულია 22 წლის ბაბუის მოსახელე, ომარ (ომარიკო) გამყრელიძე.

იგი სტუდენტია.

მართალია, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, თუმცა, „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, რეალურად ბიჭის დაკავების მიზეზი მისგან მამაზე ინფორმაციის მიღებაა.

ამ გზით სამართალდამცავებს სურთ, მიაგნონ მამამისს, ნოდარ გამყრელიძეს.

ნოდარი წლების განმავლობაში ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა, ის ყოფილი სპეცრაზმელია. როგორც ამბობენ, ამხელა ტრაგედიის შემდეგ ის სოფელ ყანდაურაში არ გამოჩენილა.

მისი ვაჟი ომარიკო ამბობდა, რომ მამამისი რუსეთში აპირებდა წასვლას და ნახა, პასპორტში ვიზა ჩარტყმული რომ ჰქონდა, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მას ოფიციალურად საზღვარი არ გადაუკვეთია. არ გამორიცხავენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადავიდა რუსეთის ტერიტორიაზე. თავად სამართალდამცავები კი მას ყველგან ეძებენ.

განსაკუთრებული ძებნა სოფელ ყანდაურის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. კახეთის რეგიონში სპეციალური დანაყოფები ჩაიყვანეს ძალოვნებმა და ნოდარ გამყრელიძეს ტყე-ტყეც კი ეძებდნენ.

უკვე არსებობს ექსპერტიზის დასკვნის შედეგი, სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი ინფორმაციით დადგინდა, რომ ტრაგედიის ადგილას ორი სხვადასხვა იარაღიდან განხორციელდა სროლები, ამიტომ გამორიცხავენ, რომ ეს ერთ ადამიანს ჩაედინა. მეორე იარაღი ჯერ ნაპოვნი არ არის, სამძებრო სამუშაოები კი ინტენსიურად ხორციელდება, რომ იპოვონ მკვლელობის იარაღი.

ამ დრომდე არ არის პასუხი მთავარ კითხვაზე, ვინ და რატომ ჩაიდინა ეს უმძიმესი დანაშაული.

მომხდარის გამოძიება გრძელდება.

3 მაისს 85 წლის კაცმა სოფელ ყანდაურაში შვილი, რძალი და ორი მეზობელი მოკლა, 71 წლის ცოლი კი დაჭრა, რომელიც 7 მაისს საავადმყოფოში გარდაიცვალა. საქმეზე გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

5 მაისს ომარ გამყრელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

როენა ხუცურაულს 3 თვის განმავლობაში ფარულად უსმენდნენ

„კურიერმა“ „მამიდას“ საქმის მასალები და აუდიომტკიცებულებები მოიპოვა. პირველივე პატაკში წერია, რომ პოლიციამ ხუცურაულისა და სხვა დაკავებულების საქმეებს გრიფით საიდუმლო დაადო.

როენა ხუცურაულს 3 თვის განმავლობაში ფარულად უსმენდნენ და, როგორც აუდიოფაილებიდან ირკვევა, მან ეს იცოდა. სატელეფონო საუბრის დროს ის ცდილობდა, არა ტელეფონით, არამედ მოსასმენად უფრო რთული ვოტსაპის აპლიკაციით ესაუბრა.

ფარული სატელეფონო მოსმენების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ როენა ხუცურაულს პრობლემები ჰქონდა და დაკავებამდე თვე-ნახევრით ადრე მთელი თავისი ქონების გადაფორმებით იყო დაკავებული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ხუცურაულმა 2019 წლის მარტში თავის სახელზე გადაიფორმა ბინები საბურთალოზე, ნაძალადევსა და სანზონაში, ასევე სასტუმრო „მამიდა“ გლდანში და მიწის ნაკვეთები თიანეთში. ამავე დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ როენა ხუცურაული ფლობს მიწის ნაკვეთს აბასთუმანში, ერთი მცირე შენობით. ეს ნაკვეთი სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიას ესაზღვრება.

იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტებში ჩანს, რომ ხუცურაულს ამ მიწის ნაკვეთზე დავა ჰქონდა და საჯარო რეესტრმაც სარეგისტრაციო წარმოება შეუჩერა. როენა ხუცურაული სატელეფონო ჩანაწერებში არ ყვება, თუმცა აუდიოფაილებიდან ირკვევა, რომ სასტუმრო „მამიდას“ მფლობელი პრობლემების გამო გაბრაზებულია.

სასტუმრო „მამიდას“ მფლობელის ადვოკატმა „კურიერთან“ საუბრისას თქვა, რომ დაკავება, შესაძლოა, იმ ქონებრივ დავას უკავშირდებოდეს, რომელიც მიწის ნაკვეთების გამო როენა ხუცურაულს ჰქონდა.

როენა ხუცურაულის საქმეში ფარული მოსმენის ათობით ჩანაწერი და ასობით მესიჯია, ჩანაწერებიდან დგინდება, რომ ხუცურაული სასტუმრო „მამიდას“ მართვაში თავად მონაწილეობდა.

რატომ დასჭირდა პოლიციას როენა ხუცურაულის საჩვენებელი დაკავება, უცნობია. კადრებში, რომლებიც პოლიციამ გაავრცელა, ხუცურაულს დაკავების მომენტში სხვადასხვა ტანსაცმელია აცვია. ბინაში ხელბორკილების დადების დროს ის კადრებში სხვა კაბით ჩანს, სადარბაზოდან გამოყვანის დროს კი სხვა ტანსაცმელი აცვია.

„მამიდას“ მფლობელი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მუხლი, რომლითაც ხუცურაულის წინააღმდეგ ძიება მიმდინარეობს, 3-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსული ეკლესია სტალინის კულტის წინააღმდეგია

რუსული ეკლესიის წმინდა სინოდის საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა, სტალინის კულტის აღორძინებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. მიტროპოლიტის აზრით, ადამიანის ფაქტობრივად ღმერთად გამოცხადება უდიდესი ცოდვაა. ქვეყანა, რომელიც ამ გზით წავა, დაისჯება.

– ჩვენს უდიდეს შეშფოთებას იწვევს ის, რომ რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობის თვალში სტალინი დადებითი მოვლენაა! მას დიდ მხედართმთავრად და ფაშიზმზე გამარჯვების უმთავრეს ორგანიზატორად აცხადებენ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, – თქვა ილარიონმა.

მიტროპოლიტის აზრით, სტალინმა უდიდესი შეცდომები დაუშვა. ეს, უწინარეს ყოვლისა, არმიის ზედაფენის მიმართ რეპრესიებს შეეხება (1936-37 წწ). ამან არმია დაასუსტა, რამაც 1941 წლის ტრაგიკული მოვლენები განაპირობა.

– სტალინური წმენდები რომ არა, გერმანელები მოსკოვთან ვერ მივიდოდნენ, – მიიჩნევს ილარიონი.

მიტროპოლიტის აზრით, სტალინმა სხვა არაერთი საბედისწერო შეცდომაც დაუშვა. მის კისერზეა უამრავი ჯარისკაცის სიკვდილი.

– გერმანია ომში დამარცხდა და განადგურდა. მან 10 მილიონი ჯარისკაცი დაკარგა, საბჭოთა კავშირმა კი – 25 მილიონი! ასეთია ეს „გენიალური მხედართმთავარი“, – ამბობს ილარიონი.

ტრამპის ადვოკატმა უკრაინაში ვიზიტი გააუქმა



ტრამპის ადვოკატმა ჯულიანიმ უკრაინაში ვიზიტი გააუქმა. მიზეზი ახლად არჩეული პრეზიდენტის, ზელენსკის, უახლოეს გარემოცვაში კორუმპირებული ხალხის არსებობაა.

– სამწუხაროდ, ზელენსკის გარემოცვაში არიან ისინიც, ვინც კორუფციულ სქემებში მონაწილეობდა, – ამბობს ტრამპის ადვოკატი.

აშშ-ის პრეზიდენტის ადვოკატი ასევე ამტკიცებს, რომ ზელენსკის გუნდში ანტი-ტრამპული ელემენტებიც არიან.

– სამწუხაროდ, იქ აშშ-ის პრეზიდენტის პირადი მტრებიც გვხვდებიან! ამიტომ ამ ეტაპზე უკრაინაში ვიზიტისგან თავი შევიკავე, – თქვა ჯულიანიმ.

ავღანეთში ტელეწამყვანი მანა მენგალი მოკლეს

ქაბულში მორიგი ტერაქტი მოხდა. ცნობილი ტელეწამყვანი მანა მენგალი მოკლეს.

თავდასხმა 11 მაისს, დილის 7 საათსა და 20 წუთზე განხორციელდა. მენგალს ორმა მოტიციკლეტისტმა ესროლა. პირველმა ჰაერში გაისროლა, რათა გამვლელები დაეფანტა, მეორემ კი ტელეწამყვანს ესროლა.

მანა მენგალი ქალთა ემანსიპაციისთვის მებრძოლი იყო. ის ამტკიცებდა, რომ ქალი კარჩაკეტილი არ უნდა ცხოვრობდეს, რომ მას გააჩნია უფლება სწავლისა და მუშაობისა.

ამის გამო ის ბევრს თვალში არ მოსდიოდა, მით უმეტეს, რომ მენგალი თავის პირად ცხოვრებაზეც ბევრს ყვებოდა. ის ამტკიცებდა, რომ მისი ნების წინააღმდეგ გაათხოვეს და ა.შ.

ამის გამო მუქარის წერილებს სისტემატურად იღებდა. ბოლოს კი ტერორისტებმა მუქარა სისრულეში მოიყვანეს.

ხუან გუაიდომ დახმარებისთვის პენტაგონს მიმართა

ვენესუელის ოპოზიციის ლიდერმა და პარლამენტის სპიკერმა ხუან გუაიდომ დახმარებისთვის პენტაგონს მიმართა.

– ვენესუელაში 20.000 კუბელი და რუსი ჯარისკაცი იმყოფება! ასეთ სიტუაციაში მხოლოდ ვენესუელის პატრიოტი ძალები ვერას გახდებიან, – თქვა გუაიდომ.

ევროკავშირის წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ვენესუელაში ამერიკული ინტერვენციის წინააღმდეგია.

ასეთია ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის პოზიციაც.

ანტიამერიკული დემონსტრაცია ვარშავაში

პოლონეთის დედაქალაქში ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორები პოლონური ნაციონალისტური ორგანიზაციები იყვნენ.

ისინი აპროტესტებენ ვაშინგტონის უკანასკნელ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, პოლონეთმა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელთა შთამომავლებს ჰოლოკოსტის გამო კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

– ეს უსამართლობაა! პოლონეთი ნაცისტური ოკუპაციის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა! – სკანდირებდნენ მანიფესტანტები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნიანგებმა ბიჭი და მამაკაცი მოკლეს

კენიის ქალაქ ხომა-ბეის მახლობლად ნიანგებმა ორი ადამიანი მოკლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

რამდენიმე დღის წინ ათი წლის კენედი ონიანგო ტბა ვიქტორიის ნაპირთან მივიდა ტანსაცმლის გასავლებად. თვითმხილველთა თქმით, სწორედ ამ დროს დაესხა მას თავს ნიანგი და წყალში ჩაათრია.

ადგილობრივებმა განგაში ატეხეს და ბავშვის მოსაძებნად ნავებით შეცურეს ტბაში. ერთ-ერთმა მათგანმა ედვარდ ორემომ აღნიშნა, რომ ონიანგოს დაღუპვის დროს მის ახლოს სხვა ბავშვებიც იმყოფებოდნენ.

– ნიანგი ისეთ ადგილას იყო ჩასაფრებული, სადაც მას ბავშვები ვერ შენიშნავდნენ, – დაამატა მამაკაცმა.

ბავშვის ძებნის დროს ერთ-ერთი ადგილობრივი, ენტონი ოდილაც დაიღუპა. ის ნავიდან გადავარდა და პირდაპირ ნიანგის ყბებში აღმოჩნდა. მამაკაცის სხეული მეთევზეებმა რამდენიმე საათის შემდეგ იპოვეს და ადგილობრივ პროზექტურას გადასცეს.

ონიანგოს ძებნა კი დღემდე გრძელდება. ორემომ ხელისუფლებას ადგილობრივებისთვის საჭირო დახმარებისკენ მოუწოდა.

გასვენებაში ცეკვის დროს მიცვალებული დაუვარდათ

განაში გასვენების პროცესიის დროს მისმა მონაწილეებმა ცეკვა დაიწყეს, რა დროსაც მათ კუბო მიცვალებულით ხელიდან გაუვარდათ.

ფეისბუქში გამოქვეყნებულ ვიდეოზე სამგლოვიარო სამკლავურიან კოსტიუმებში გამოწყობილი ოთხი მამაკაცი დიდი კარავიდან მხრებზე გადებული მასიური კუბოთი გამოდის. მუსიკას აყოლილი ცეკვით ისინი მსვლელობას იწყებენ, შემდეგ ჩერდებიან და ადგილზე შემოტრიალებას ცდილობენ. ეს მანევრი მათ არა გამოუვიდათ, კუბო მიწაზე დაეცა და გადაბრუნდა.

დაბნეული ოთხეული ჯერ სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტა, ხოლო პროცესიის ერთ-ერთმა მონაწილემ კი თავში ხელებიც კი წაიშინა, მეორემ ხელების ქნევა დაიწყო, მესამე კი ძირს დავარდნილი კუბოს გვერდით მიწაზე დაჯდა. ვიდეოს ბოლომდე არც ერთ მათგანს კუბოს ისევ ხელში აღება არ უცდია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თრილერი ბათუმში და სენსაცია რუსთავში

დინამო (გთ)-დინამო (თბ) 3:2

ბათუმი. ანგისა

1:0 თევდორაძე (23პ), 2:0 ჩალაძე (35), 2:1 ადამაძე (76სკ), 2:2 სანტოსი (86სკ), 3:2 გაფრინდაშვილი (90)

დინამო (ბთ): ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ჩალაძე, ტეიდი (ჯანელიძე 80), თევდორაძე (გაფრინდაშვილი 59), მამუჩაშვილი, რამოსი, საბანაძე (ა.სანტოსი 78), ფლამარიონი

დინამო (თბ): პერალესი, რუხაია, მონხილი, კობოური, იაშვილი, კუხიანიძე (ზარია 66), შულაია (აზაროვი 59), პაპავა (როხანო 82), შენგელია, ნინუა, კუტალია

თბილისელებს ბათუმში გავსებული ტრიბუნა და კარგი საფეხბურთო გარემო დახვდათ. მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო, პირველი რეალური საგოლე მომენტი კი დედაქალაქელებმა შექმნეს. ლევან კუტალიას გადაცემის შემდეგ ნიკა ნინუა პირისპირ გავიდა მიხეილ ალავიძესთან, თუმცა დარტყმულმა ვერ ივარგა და ბურთმა ძელთან ჩაიარა. საპასუხოდ თბილისელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც ვალერიან თევდორაძემ გამოიყენა.

ამის შემდეგ ჩვენს გუნდს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, ლევან შენგელია დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა კარს. ბათუმელებმა კი თავისი მეორე შანსიც ზუსტად გამოიყენეს და ლაშა ჩალაძემ ანგარიში 2:0 გახადა.

სტუმრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ბრძოლა განაგრძეს და ამაში ბათუმელებიც წაეხმარნენ: 75-ე წუთზე შეცვლაზე შესული ირაკლი აზაროვი საჯარიმოში შეიჭრა, სახიფათო გადაცემაც შეასრულა, ბურთი კი გურამ ადამაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა. თბილისელებმა კიდევ უფრო უმატეს ზეწოლას და 86-ე წუთზე ნინუას სახიფათოდ და ძლიერად შესრულებული საჯარიმო დარტყმა ამჯერად ალეფ სანტოსმა ჩაჭრა თავის კარში.

ბათუმელებმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ პერიოდში მოახერხეს გოლის გატანა, თავი თორნიკე გაფრინდაშვილმა გამოიჩინა და მასპინძლებმაც 3:2 იმარჯვეს.

რუსთავი-საბურთალო 3:1

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

1:0 იმნაძე (59), 2:0 გისტაროვი (74), 2:1 ცნობილაძე (90), 3:1 ზვიადაძე (90)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ჯაფიაშვილი, ფონიავა, სილაგაძე, გუჯაბიძე, კიტეიშვილი (ჩოგაძე 64), ქოჩლაძე (ლ.გადრანი 88), გისტაროვი, ციცქიშვილი, იმნაძე (ზვიადაძე 90)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მარგველაშვილი, ლაკვეხველიანი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, შინდაგორიძე, დიასამიძე (გვარაძე 32), ალთუნაშვილი, გორგიაშვილი (დვალიშვილი 63), კოხრეიძე, როლოვიჩი (გონსალვესი 57)

ეროვნული ლიგის 12-ე ტურში სენსაცია დაფიქსირდა. გათამაშების ლიდერმა აუტსაიდერ რუსთავთან 3 ქულა დაკარგა.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა მატჩი აქტიურად დაიწყო, თუმცა სახიფათო მომენტების რეალიზება ფეხბურთელებმა ვერ მოახერხეს. პირველ ტაიმში მომენტები ჰქონდათ მასპინძლებსაც. მეორე ნახევარში თამაშის სცენარი მთლიანად შეიცვალა. ვარლამ კილასონიას შეგირდებმა საბურთალოს კართან იერიშებს უმატეს და შეხვედრის 59-ე წუთზე ლოგიკური გოლიც გაიტანეს – ანგარიში ლუკა იმნაძემ გახსნა. რუსთაველები გატანილი გოლის შემდეგ უფრო გათამამდნენ და უპირატესობა 74-ე წუთზე ორამდეც გაზარდეს. ამჯერად შორეული დარტყმით ომარ მიგინეიშვილის კარი გისტაროვმა აიღო.

ერთი ბურთის გაქვითვა საბურთალომ რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შეძლო. რუსთავის კარი 93-ე წუთზე დაჩი ცნობილაძემ თავური დარტყმით აიღო. გატანილი

გოლის შემდეგ სტუმრები კიდევ ერთი გოლის გატანას და ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ თუმცა მატჩის ბოლო წუთზე გოლი საკუთარ კარში მიიღეს. მასპინძელთა მხრიდან მესამე ბურთის ავტორი 95-ე წუთზე ლუკა ზვიადაძე გახდა.

ლოკომოტივი-ტორპედო 1:3

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ქავთარაძე (12), 0:2 ზიგზიავაძე (14პ), 0:3 ლუკა (62), 1:3 შონია (81)

ლოკომოტივი: ბულისკერია, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, შონია, გვილია (სამურკასოვი 76), ო.კობახიძე (ინჯგია 64), ძებნიაური, თ.კირკიტაძე, დავითაშვილი, ჯიქია (სიხარულიძე 59)

ტორპედო: კვასხვაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, გიგაური, ქავთარაძე, წიქარიძე (თ.კაპანაძე 67), ა.ჩაჩუა, ლუკა (ნებიერიძე 82), ზიგზიავაძე (დოლიძე 71)

მასპინძლები საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში დასარჩენად იბრძვიან. მათთვის ყოველ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ტორპედოსთან მატჩი კვლავ უქულოდ დატოვეს.

კახა ჩხეტიანის გუნდმა სასურველი შედეგის მისაღებად ბრძოლა პირველივე წუთებიდანვე დაიწყო. მე-12 წუთზე ანგარიში ნოდარ ქავთარაძის მიერ გატანილი გოლით გაიხსნა, რასაც 2 წუთში ბუდუ ზივზივაძის მიერ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა და ქუთაისელები შესვენებაზე 2-ბურთიანი უპირატესობით გავიდენენ. მატჩის მეორე ნახევარში მესამე ბურთი სტუმართა ბრაზილიელმა რიჩარდ ლუკამ 62-ე წუთზე შეაგდო და ტორპედომ 3 ქულის მოპოვების საკითხი თითქმის გადაწყვიტა. ლოკომოტივმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა – 81-ე წუთზე გოლის ავტორი თეიმურაზ შონია გახდა.

ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 სარდალიშვილი (69)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, კორიფაძე, კაშია, მამასახლისი, მახარობლიძე (მუმლაძე 68), სარდალიშვილი, ჩიხლაძე (იონანიძე 90), ერგემლიძე, დეკანოიძე (მარკოზაშვილი 59)

ვიტ ჯორჯია: ქავთარაძე, გაფრინდაშვილი, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიტიშვილი, საჯაია (ლაცაბიძე 61), მოსიაშვილი (კურდღელაშვილი 74), ვასაძე, კაკაშვილი, ღირდალაძე, მუჯირი (მუსელიანი 46)

ჩიხურამ მორიგი გამარჯვება მიითვალა. მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ მთელი მატჩის განმავლობაში და შედეგიც ლოგიკურია. ერთადერთი გოლი მიშიკო სარდალიშვილმა გაიტანა.

სიონი-დილა 2:1

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 კირკიტაძე (18), 1:1 ფორტესი (45), 2:1 ისიანი (72)

სიონი: ლ.ისიანი, რ.ჩაჩუა, უგრეხელიძე, თარხნიშვილი, ხმალაძე, უგულავა (მაქაცარია 75), დ.კირკიტაძე, თარგამაძე (სიხარულიძე 62), ვ.ისიანი (თომაშვილი 82), აფაქიძე, სუხიაშვილი

დილა: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, ნონდი, ფორტესი (კოუგბენია 58), კუცია (რაზმაძე 65), ნონიკაშვილი, გოშთელიანი, ე.სანტოსი (ნჯოჯუ 74), გრიგალაშვილი

საინტერესო და დაძაბული მატჩი შედგა ბოლნისში. ორივე გუნდი 3 ქულის მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ ეს საქმე ბოლნისელებს გამოუვიდათ.

ანგარიში დავით კირკიტაძემ გახსნა, რომელიც პირველივე ტაიმში გაქვითა ფორტესმა. თუმცა, 72-ე წუთზე ვილი ისიანმა გამარჯვების გოლი გაიტანა და სიონს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოტანა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	12	8	1	3	20-13	25
2.საბურთალო	12	8	0	4	25-19	24
3.ტორპედო	12	7	2	3	18-13	23
4.დინამო (თბ)	12	6	2	4	24-13	20
5.ჩიხურა	12	4	6	2	15-11	18
6.სიონი	12	5	2	5	17-25	17
7.დილა	12	4	2	6	11-12	14
8.ვიტ ჯორჯია	12	3	2	7	7-13	11
9.ლოკომოტივი	12	3	0	9	13-21	9
10.რუსთავი	12	2	3	7	12-22	9

ლევან კობიაშვილი: „ევროპის ლიგის ფინალის მასპინძლობა ჩვენთვის დიდი მოტივაცია იქნება“

როგორც ცნობილია, 29 მაისს უეფა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და ცნობილი გახდება, სად გაიმართება ევროპა ლიგის 2020-21 წლების სეზონის ფინალური მატჩი. კანდიდატია ორია: სევილიის „რამონ სანჩეს პისხუანი“ და თბილისის „დინამო არენა“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ესპანურ მედიასთან ამ თემაზე ისაუბრა.

ლევან კობიაშვილი:

– ამ მომენტისთვის ორივე ქალაქს თანაბარი შანსი აქვს, რომ მასპინძლობის უფლება მოიპოვოს. თუმცა, ჩვენთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი და სტიმულის მომტანი იქნება. ასეთი ტურნირის ორგანიზება ქართული ფეხბურთისთვის დიდი მოტივაცია იქნება, რადგან მსგავსი დონის მატჩების მასპინძლობის საშუალება ხშირად არ გვეძლევა. ესპანეთში კი განსხვავებული სიტუაციაა, ასეთ შეხვედრებს რეგულარულად მასპინძლობთ, მაგალითად, წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მადრიდში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ „დინამო არენამ“ 2015 წლის აგვისტოში ევროპის სუპერთასს უმასპინძლა და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა. მეტიც, ევროპის სუპერთასების ისტორიაში მაყურებელთა დასწრების რეკორდიც ჩვენს დედაქალაქში დაფიქსირდა. თამაშიც მაგარი გამოვიდა, ბარსელონამ სევილიას დამატებით დროში 5:4 მოუგო.

თბილისისა და სევილიის გზები გარკვეულწილად ახლაც გადაიკვეთა. კობიაშვილმა კი 4 წლის წინანდელი მატჩი გაიხსენა და აღნიშნა, რომ თბილისი მზადაა ევროპა ლიგის ფინალის მასპინძლობისთვის:

– ჩვენს სტადიონს დიდი ისტორია აქვს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დონის თამაშის მასპინძლობის გამოცდილება გვაქვს, 2015 წელს ევროპის სუპერთასს ვუმასპინძლეთ, სტადიონი ამ მატჩისთვის გარემონტდა, ტრიბუნები გაივსო, კარგი გარემო იყო. ახლაც, ქალაქი, ხალხი და სტადიონიც მზადაა, დააკმაყოფილოს უეფას მოთხოვნები მსგავსი კალიბრის მატჩის მასპინძლობისთვის.

მგზავრებმა ნახევარფინალური ოთხეული შეავსო

მგზავრები-ბათუმი 96:76

(28:20, 22:20, 24:21, 23:15)

სუპერლიგის საუკეთესო ოთხეული შეივსო. მგზავრებმა დამაჯერებელი სხვაობით – 97:76 დაამარცხა ბათუმი და მეოთხედფინალური სერია 3:2 მოიგო.

ფლეი ოფის პირველი რაუნდის ყველაზე დაძაბული სერია, რომლის გამარჯვებულის გარკვევას 5 მატჩის გამართვა დასჭირდა, ბუბა ბერიშვილის გუნდის სასარგებლოდ დასრულდა. სერიაში 1:2 ჩამორჩენის შემდეგ მგზავრებმა 2 შეხვედრა მოიგეს – ბათუმსა და თბილისში, რამაც ამ გუნდს ნახევარფინალური სერიის საგზური მოუტანა.

ბათუმს კი მხოლოდ ქება ეკუთვნის, რადგან გუნდმა ჯერ სუპერლიგიდან გავარდნას დაღწია თავი, შემდეგ ფლეი ოფში გავიდა და მეოთხედფინალშიც საკმაოდ კარგად იასპარეზა. მგზავრებთან ბოლო მატჩში კი გია კაზანჯიანის გუნდს რესურსი არ ეყო. საკმაოდ გადაღლილი ჩანდა და რაც შეეძლო, მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწია. მგზავრების კალათბურთელები ისეთი შემართებით იყვნენ, თავისი მაინც გაიტანეს. ბათუმელები მთელი თამაში ჩამორჩებოდნენ – პირველი პერიოდის შემდეგ 8 ქულით, ხოლო დიდი შესვენებისთვის – 10 ქულით აგებდნენ.

მესამე პერიოდში ზღვისპირელებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს, თუმცა შედეგიანად ათამაშდნენ მგზავრების ლეგიონერები – პრინს უილიამსი, ჯეიკობ არმსტრონგი და ადრიან ბოუი. არანაკლებ შედეგიანად ირჯებოდნენ კახა ჯინჭარაძე და რეზო ჩაჩანიძე, რომელთა ძალისხმევითაც მგზავრებმა დაიბრუნა 10-ქულიანი უპირატესობა და ბოლო პერიოდში გასამარჯვებლად საკმაო ლიდერობა მოიპოვა, რაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

საბოლოოდ ბერიშვილის გუნდმა 21-ქულიანი სხვაობით იმარჯვა, რაც მგზავრების გუნდური გარჯის შედეგი გახლდათ: ორმა კალათბურთელმა სამმაგი დუბლის ზღვარზე გაიარა. კახა ჯინჭარაძემ 19 ქულა, 15 მოხსნა და 8 პასი მიითვალა, ადრიან ბოუიმ კი 16 ქულა, 10 მოხსნა და 9 პასი. 19 ქულა ჰქონდა ჯეიკობ არმსტრონგს, ხოლო 18 – პრინს უილიამსს. ბათუმში 15 ქულითა და 6-6 მოხსნა-პასით საუკეთესო იყო კეისი შეპარდი. 13-13 ქულა დააგროვეს ნოდარ გოგოძემ და სტეფან ანდრეევიჩმა.

მაშ ასე, ნახევარფინალში გასული მგზავრები დელტას შეხვდება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ქუთაისი და დინამო დაუპირისპირდებიან.

შედეგები

11 მაისი

ფეხბურთი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-ლუგო 0:0
ხიმნასტიკი-მალიორკა 2:1
ნუმანსია-ალკორკონი 2:0
ესტრემადურა-სარაგოსა 0:3

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ჰერტა 3:4
ლევერკუზენი-შალკე 1:1
დორტმუნდი-ფორტუნა 3:2
ჰანოვერი-ფრაიბურგი 3:0
ნიურნბერგი-გლადბახი 0:4
ლაიფციგი-ბაიერნი 0:0
ჰოფენჰაიმი-ვერდერი 0:1
შტუტგარტი-ვოლფსბურგი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	33	23	6	4	83-31	75
2.დორტმუნდი	33	22	7	4	79-44	73
3.ლაიფციგი	33	19	9	5	62-27	66
4.გლადბახი	33	16	7	10	55-40	55
5.ლევერკუზენი	33	17	4	12	64-51	55
6.აინტრახტი	32	15	9	8	59-41	54
7.ვოლფსბურგი	33	15	7	11	54-49	52
8.ჰოფრნჰაიმი	33	13	12	8	68-48	51
9.ვერდერი	33	13	11	9	56-48	50
10.ჰერტა	33	11	10	12	48-52	43
11.ფორტუნა	33	12	5	16	47-64	41
12.მაინცი	32	10	7	15	40-55	37
13.ფრაიბურგი	33	7	12	14	41-60	33
14.აუგსბურგი	33	8	8	17	50-63	32
15.შალკე	33	8	8	17	37-55	32
16.შტუტგარტი	33	7	6	20	32-70	27
17.ჰანოვერი	33	5	6	22	30-69	21
18.ნიურნბერგი	33	3	10	20	25-63	19

იტალია. სერია ა

ატალანტა-ჯენოა 2:1
კალიარი-ლაციო 1:2
ფიორენტინა-მილანი 0:1

იტალია. სერია ბ

ბრეშა-ბენევენტო 2:3
ვერონა-ფოჯა 2:1
კარპი-ვენეცია 2:3
კროტონე-ასკოლი 3:0
ლეჩე-სპეცია 2:1
პადოვა-ლივორნო 1:1
პალერმო-ჩიტადელა 2:2
პერუჯა-კრემონეზე 3:1
პესკარა-სალერნიტანა 2:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ანჟე-პსჟ 1:2
ამიენი-ტულუზა 0:0
დიჟონი-სტრასბური 2:1
კაენი-რეიმსი 3:2
ნიმი-მონაკო 1:0
ნიცა-ნანტი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	36	28	4	4	100-32	88
2.ლილი	35	20	9	6	61-30	69
3.ლიონი	35	18	9	8	60-45	63
4.სტ.ეტიენი	36	18	8	10	55-40	62
5.მონპელიე	36	15	13	8	52-40	58
6.მარსელი	35	16	7	12	54-47	55
7.ნიცა	36	14	11	11	28-32	53
8.ნიმი	36	15	7	14	53-53	52
9.რეიმსი	36	11	16	9	35-41	49
10.ნანტი	36	13	8	15	47-46	47
11.სტრასბური	36	10	16	10	57-46	46
12.ანჟე	36	10	15	11	43-43	45
13.რენი	35	11	12	12	49-50	45
14.ბორდო	35	9	11	15	33-40	38
15.ტულუზა	36	8	14	14	32-50	38
16.ამიენი	36	8	11	17	29-49	35
17.მონაკო	36	7	12	17	36-55	33
18.კაენი	36	7	12	17	29-49	33
19.დიჟონი	36	8	7	21	29-55	31
20.გენგამი	35	5	10	20	24-63	25

ჰოლანდია. პირველი დივიზიონი

ენისეი-კრასნოდარი 0:4
ახმატი-კრილია 2:1

პორტუგალია. პირველი დივიზიონი

პორტიმორენშე-მარიტიმუ 3:2
სანტა კლარა-ფეირენშე 4:4
ბოავიშტა-ბრაგა 4:2
სპორტინგი-ტონდელა 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ქსამაქსი-ციურიხი 1:2
თუნი-ლუგანო 1:0

შოტლანდია. ჩემპიონატი

ლივინგსტონი-დანდი 0:1
სტ.ჯონსონი-მოზერველი 2:0
კილმანროკი-ჰიბერნიანი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-ადმირა 2:2
რაპიდი-ინსბრუკი 1:0
ჰარტბერგი-მატერსბურგი 2:1

ბელგია. ა დივიზიონი

ბეერსხოტი-შარლერუა 0:3
ბევერენი-სერკლი 2:1
ვარეგემი-კორტრაიკი 0:5
ოსტენდე-ვესტერლო 0:3
უნიონი-მუსკრონი 3:3

საბერძნეთი. თასი

ფინალი

პაოკი-აეკი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-გალათასარაი 2:3
გიოზთეფე-სივასი 3:3
ფენერბახჩე-აკხისარი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

იაბლონეცი-ბანიკი 2:0
სპარტა-ლიბერეცი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-ლეხი 1:0
შლასკი-პლოცკი 2:1
ლეგნიცა-გურნიკი 0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ლვოვი 2:0
დინამო-ზორია 1:1
შახტარი-ოლექსანდრია 2:1

შახტარის პირველი გოლი დავით ხოჭოლავამ გაიტანა

შვედეთი. ალსვენსკა

ესტერსტუნდი-ჰაკენი 1:1
ესკილსტუნა-ფალკენბერგი 0:0
კალმარი-ჰელსინბორგი 1:0
სუნდსვალდი-იორებრო 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ლილეტრიომი-რუსენბორგი 1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კვპ-ლახტი 0:0
ჰიკი-სეინეიოკი 2:2
ჰონკა-ვაასა 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბასილაშვილმა რომი მოგებით დაიწყო

ნიკოლოზ ბასილაშვილმა რომის მასტერსი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენებურმა მისთვის უხერხული მეტოქე, უნგრელი მარტონ ფუჩოვიჩი ორ სეტში, 6:1, 7:6 დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ნიკასთვის ეს ფუჩოვიჩთან გამართული მე-6 დაპირისპირება იყო. აქამდე ნიკას მხოლოდ 1 შეხვედრა ჰქონდა მოგებული, ხოლო ბოლო 4 – წაგებული.

ქართველი ჩოგბურთელი პირველ სეტში დიდ უპირატესობას ფლობდა. ნიკამ მეტოქის 3 გეიმი მოიგო და 6:1 იმარჯვა, რის შემდეგაც მეორე სეტი ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ბასილაშვილმა ფუჩოვიჩს 7:2 აჯობა და მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც კუკუშკინსა და დიერეს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

რომის მასტერსი 1.000-იანი სერიის ტურნირია.

მანჩესტერმა გასულ წელს დე ლიხტი დაიწუნა

ამსტერდამის აიაქსის ნიჭიერი ახალგაზრდა ცენტრალური მცველი მატიას დე ლიხტი წლეულს შესანიშნავ ფორმაშია. ფეხბურთელმა გრანდების ყურადღებაც მიიპყრო და ევროპაში ერთ-ერთ მოთხოვნად ფეხბურთელად იქცა.

დე ლიხტისთვის გარდამტეხი წლევანდელი წელი აღმოჩნდა სადაც აიაქსმა ჩემპიონთა ლიგაზე ისეთი მსხვილი კალიბრის გუნდები გამოთიშა ტურნირს, როგორებიცაა მადრიდის რეალი და ტურინის იუვენტუსი. აღსანიშნავია, რომ ამ წარმატებაში ერთ-ერთი გარდამტეხი როლი სწორედ დე ლიხტის კარგმა თამაშმაც იქონია.

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს ბრიტანული მედია, სადაც წერია, რომ მანჩესტერ იუნაიტედი გასულ სეზონში დე ლიხტის გაფორმებასთან ყველაზე ახლოს იყო, თუმცა კლუბმა ჰოლანდიელი ფეხბურთელი დაიწუნა.

როგორც ირკვევა, იუნაიტედი შიშობდა, რომ დე ლიხტი სამომავლოდ წონის მატებისკენ მიდრეკილ ფეხბურთელად გადაიქცეოდა. მოსაზრებას კი უფრო ის ამყარებდა, რომ მატიას დე ლიხტის მამაც აღნიშნულ მდგომარეობაში იმყოფება.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

გონებადაკარგული პილოტი თვითმფრინავს 40 წუთი მართავდა

ავსტრალიაში უგონო მდგომარეობაში მყოფი პილოტი თვითმფრინავს 40 წუთის განმავლობაში მართავდა, მაშინ როცა ის საჰაერო გადაადგილების სამმართველოს გამოძახებებს არ პასუხობდა.

აღსანიშნავია, რომ მფრინავი სტაჟირებას გადიოდა. ტრანსპორტის უსაფრთხოების დაცვის ავსტრალიის ბიურომ მომხდარის გამოძიება დაიწყო, რომლის დროსაც გაირკვა, რომ პილოტს ფრენის წინ არ გამოუძინებია, ხოლო სადილზე მხოლოდ შოკოლადი შეჭამა და მას ენერგეტიკული სასმელი მიაყოლა. 1,6 კილომეტრის სიმაღლეზე იგრძნო რა ძლიერი თავის ტკივილი, პილოტმა ავტოპილოტი ჩართო, შემდეგ კი გონება დაკარგა.

ავიადისპეტჩერების სამსახურმა რამდენიმეჯერ უშედეგოდ ცადა მასთან დაკავშირება. გონზე მოსვლის შემდეგ პილოტმა თავად მოახერხა თვითმფრინავის დასმა. ის მარტო ასრულებდა რეისს სამხრეთ ავსტრალიის ქალაქ პორტ-ოგასტას აეროპორტიდან პარაფილდში.

დათვებმა ურთიერთობის გარკვევა სახლის ეზოში ცადეს

ნიუ-ჯერსის მცხოვრები ამერიკელი კორი ბეილი საკუთარი სახლის ეზოში ორი დათვის ჩხუბის თვითმხილველი გახდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე გამოქვეყნდა.

მტაცებელი ცხოველები ერთმანეთს უკანა თათებზე აღმართულები ეჩხუბებოდნენ. სახლის პატრონი მამაკაცის ვარაუდით, დათვები ერთმანეთს მდედრის გამო დაუპირისპირდნენ. ჩხუბი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც სახლის ეზოში ცხოველების ბალნის ბღუჯები და სისხლის ნაკვალევი დარჩა.

ბრისტოლის უნივერსიტეტში „ბედნიერების გაკვეთილები“ ჩატარდება

ინგლისის ქალაქ-საგრაფო ბრისტოლის უნივერსიტეტში ჩატარდება „ბედნიერების გაკვეთილები“, რამაც სტუდენტებს შორის თვითმკვლელობის მცდელობა უნდა აღკვეთოს.

უნივერსიტეტის პროფესორებმა 12-კვირიანი ლექციების კურსი მას შემდეგ შეიმუშავეს, რაც სასწავლებლის ათზე მეტმა სტუდენტმა ბოლოს სამი წლის განმავლობაში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მეცადინეობას ფსიქოლოგიის პროფესორი ბრიუს ჰუდი გაუძღვება, რომელიც სტუდენტებს აუხსნის, თუ რა არის ბედნიერება და როგორ შეიძლება მისი მიღწევა. მას იმედი აქვს, რომ ამ ლექციებით ყველა ფაკულტეტის სტუდენტები დაინტერესდებიან.

ლექციები უნივერსიტეტში სექტემბერში დაიწყება და კვირაში ერთხელ ერთი საათის განმავლობაში ჩატარდება. სტუდენტებს დავალების არჩევას შესთავაზებენ, რომლის შესრულებაც მათ შვიდი დღის განმავლობაში მოუწევთ, შემდეგ კი მისი შედეგები თანაკურსელებსა და ლექტორს უნდა გაუზიარონ. პრაქტიკაში შედის ძილის საათების გაზრდა, მედიტაცია, ხალხის მიმართ მადლიერების გამოხატვა, კეთილი საქმეების კეთება.

ქალი სხვის სახლში ძაღლთან სათამაშოდ და ჭურჭლის დასარეცხად შეიპარა

აშშ-ში დააკავეს ქალი, რომელიც, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, სხვის სახლში შეიპარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ოჰაიოს შტატის მკვიდრ ქალბატონს სხვის ბინაში შეღწევისა და ქურდობის ბრალდება წაუყენეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციაში ზარი ქურდობის თაობაზე რამდენიმე დღის წინ შევიდა. სამართალდამცავებს აცნობეს, რომ ქალი შევიდა სახლში, ეთამაშა ძაღლს და მათი ჭურჭელი დარეცხა, ამასთან, „სტუმარი“ მეტად უცნაურად იქცეოდა.

შრიფს მომჩივანთან საუბრის დროს ტელეფონზე დაურეკეს და შეატყობინეს, რომ მსგავსი ქალბატონი მეზობელ ჰამდენშიც აკაკუნებდა კარზე. როდესაც ქალი დააკავეს, ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საშვილოსნოს გარეშე დაბადებული ქალი ოპერაციის შემდეგ დაფეხმძიმდა

აშშ-ის მკვიდრმა ქალმა, რომელიც საშვილოსნოს გარეშე დაიბადა, უიშვიათესი ოპერაციის გაკეთებიდან ორი წლის შემდეგ დაფეხმძიმება შეძლო.

16 წლის ასაკში კეილი ედვარდს მაიერ-როკიტანსკი-კუსტერ-ჰაუზერის სინდრომი დაუდგინეს – თანდაყოლილი გადახრა, რომლის გამოც მას საშვილოსნო და საშო არ აქვს. დიდი ხნის განმავლობაში ის ფიქრობდა, რომ ბავშვების ყოლას ვერასოდეს შეძლებდა.

2017 წელს კეილმა გაიგო, რომ ბეილორის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში საშვილოსნოს გადანერგვის ოპერაცია წარმატებით განახორციელეს. მან და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, რომ ეს მათი შანსი იყო და ასეთ ოპერაციაზე ჩაეწერნენ. ამისთვის მათ ვაშინგტონის შტატიდან ტეხასის შტატში გადასვლა დასჭირდათ, სადაც აღნიშნული სამედიცინო ცენტრი მდებარეობს.

ედვარდსებმა დონორი გამოძებნეს, მაგრამ ოპერაცია ჩაიშალა. მეორე დონორის ცდას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდა. 2017 წელს ქალს წარმატებით გადაუნერგეს საშვილოსნო. პირველი ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა მას ტრანსპლანტაციიდან ოთხ თვეში ჩაუტარდა, მაგრამ წარუმატებელი გამოდგა.

ფეხმძიმობა ქალს მიმდინარე წლის იანვარში მხოლოდ მეოთხე პროცედურის შემდეგ დაეწყო. მშობიარობის შემდეგ, რომელიც ოქტომბერში უნდა შედგეს, კეილი ედვარდსი მსოფლიოში მესამე ქალი გახდება, რომელიც ბავშვს გადანერგილი საშვილოსნოთი გააჩენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სუდოკუ



1. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 2. ღრმა, ვიწრო ხეობა; 3. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი; 4. სახოტბო ლექსი; 5. ტაბლეტი; 6. ბატონო (ინგლისურად); 7. რისამე დამსახურების ნიშნად გაცემული საბუთი; 8. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 9. ფულის მისაღები თამასუქი; 10. ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 11. თოვლის ჯიქი; 12. მეფის ტიტული მონღოლეთში (ძვ.); 13. ნოტი; 14. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 15. ერთგვარი მაწონი; 16. გერმანული ავტომობილი; 17. ურჩხული; 18. ჩაზელილი, შეზავებული კარტოფილი; 19. კედლისა და იატაკის გამყოფი თამასა; 20. გნოლის ბარტყი; 21. მხარე, მიდამო; 22. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 23. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში; 24. დედალი ფუტკრის საჩხვლეტი ორგანო; 25. უგონო მდგომარეობა; 26. თხევადი ნივთიერება; 27. მიზანში ზუსტად მსროლელი; 28. სახელმწიფო ევროპაში; 29. ნული; 30. დიდი, ძვირფასმერქნიანი ხე; 31. თავადზე დაბლა მდგომი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შუახევი; 2. მადაფათა; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარერასი; 12. იორი; 13. ტრაქტატი; 14. ინკები; 16. სილეზია; 18. ომეგა; 20. დუმა.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. ბედია; 10. პარალიზი; 11. ნადირაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. მიზანი; 19. ბაღდავაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰორაციო; 2. ბრიჯი; 3. მეტაფორა; 4. სედანი; 5. მარჯანი; 6. რეფორმა; 11. ჟიური; 13. ტრაპეზი; 14. პომოლოგია; 15. მაკედონია; 17. ლეგატი; 18. კრუპიე; 19. სენა.

თარაზულად: 7. ნოდარი; 8. ფენერბახჩე; 9. საუნჯე; 10. კარავაჯო; 12. ვოლტიჟიორი; 14. პრიზმა; 16. კლიასერი; 18. კომუნიკე; 20. ტუფლი; 21. ოდა; 22. ზარზუელა; 23. ჯინი; 24. სამტრედია.

ასტროპროგნოზი 13 მაისისთვის

ვერძი – დღის პირველი ნახევარი კარგია ახალი ნაცნობების შეძენისა და ახალი ურთიერთობებისათვის. მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, თქვენს მომავალზე საკმაოდ დადებითი გავლენა იქონიოს. **კურო** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავი შეიკავეთ. პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობა რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. გელით სასიხარულო ცვლილებები როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. **კირჩხიბი** – მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. მიენდეთ ინტუიციას. შესაძლოა, მოულოდნელად სადმე გაემგზავროთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა გამორიცხეთ, პლანეტების არაკეთილისმყოფელი განლაგება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი კარგია ახალი ნაცნობების შეძენისა და ახალი ურთიერთობებისათვის. მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, თქვენს მომავალზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიოს. **სასწორი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. აქტიურობა საზიანოა. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენი შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა სათანადოდ დაფასდება. ბავშვები თქვენს ყურადღებას დღეს განსაკუთრებით ითხოვენ. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე პროფესიულ სფეროში აქტიური მოქმედებისათვის. ყურადღება მიაქციეთ ახალ შემოთავაზებებს. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ძველი პრობლემების არასტანდარტულად გადაწყვეტისათვის. პირად ცხოვრებაში დიდი ბედნიერება გელით. **მერწყული** – ერიდეთ საქმიან გარიგებებს, ფულის ხარჯვა რეკომენდებული არ არის. დიდია მატერიალური ზარალის ალბათობა. **თევზები** – შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ, რის შედეგადაც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სასიამოვნო ცვლილება მოხდება. კარგი დღეა ახალი ბიზნესკავშირებისა და კონტრაქტებისათვის.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

ელისო ბოლქვაძე დააჯილდოვეს

პიანისტი ელისო ბოლქვაძე დააჯილდოვეს.

იუნესკოს მშვიდობის ხელოვანს, ელისო ბოლქვაძეს, ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების მხარდაჭერისთვის მადლობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშმა გადაუხადა.

ელისო ბოლქვაძემ ნიჭიერი ქართველი ბავშვების მსოფლიო რანგის მუსიკოსებად ჩამოყალიბებისთვის ბევრი იშრომა, მის მიერ დაფუძნებული ფონდის „ლირის“ საშუალებით უკვე 50-ზე მეტ ახალგაზრდა მუსიკოსს გაუკვალა გზა საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ის ეხმარება 8-დან 15 წლამდე ბავშვებს, რომ გაიარონ მასტერკლასები, მიიღონ მონაწილეობა პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებში და ჰქონდეთ პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა.

მარიამ ჯაშმა ელისო ბოლქვაძე დააჯილდოვა და პიანისტს ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დამზადებული მედალიონი გადასცა.

„მხოლოდ ქართული“ მესამე სეზონს იწყებს

მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ მესამე სეზონს იწყებს. მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა კონკურსანტს 18 წლიდან.

„მხოლოდ ქართული“, ტრადიციულად, მთელ საქართველოს მოივლის და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს აღმოაჩენს.

პირველი შესარჩევი ეტაპი თბილისიდან 26 მაისს დაიწყება. დედაქალაქის შემდეგ კი „მხოლოდ ქართულის“ წარმომადგენლები ეწვევიან თელავს, ოზურგეთს, ზუგდიდს, ბათუმს, გორსა და ქუთაისს.

„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონი სოფო ბათილაშვილმა მოიგო, მეორე სეზონის გამარჯვებული კი გიორგი კელაპტრიშვილი გახდა.

ტაო კლარჯეთის ქართულ ტაძარში ტუალეტების მშენებლობა შეჩერდა

ტაო კლარჯეთში მდებარე X საუკუნის ცნობილ ქართულ ტაძარში, დოლისყანის კარიბჭეში ტუალეტების მშენებლობა შეჩერდა.

ინფორმაცია საპირფარეშოების მშენებლობის შესახებ ისტორიკოსმა **ბუბა კუდავამ გაავრცელა:**

– საგანგაშო, ყოვლად დაუჯერებელი და ყოვლად გაუგებარი სიახლე ტაო კლარჯეთიდან!

X საუკუნის ცნობილი ქართული ტაძრის, დოლისყანის კარიბჭეში ტუალეტი შენდება!

ფოტოები ეს წუთია გამომიგზავნეს. ამოთხრილი ორმოები რკინის ცხაურითაა გადახურული, ჩალაგებულია მილები, ტაძარში შეტანილია შესაბამისი მასალა და დღე-დღეზე ალბათ ბეტონსაც დაასხამენ.



აქაური ისტორიული ძეგლების დაზიანებების, უყურადღებობით გამოწვეული თუ განზრახ ჩადენილი უამრავი ფაქტია ცნობილი, მაგრამ იმედისმომცემი იყო ტენდენცია, რომ ბოლო ათწლეულებში მსგავსი ფაქტები ძალზე შემცირდა.

ის, რაც ახლა დოლისყანაში ხდება, სრულიად დაუჯერებელია! 2019 წელია და ტაო კლარჯეთის ძეგლების დიდი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა უკვე კარგა ხანია კარგად ესმით ჩვენს თურქ კოლეგებსა და ჩვენი მეზობელი ქვეყნის შესაბამის უწყებებს. იმედი მაქვს, სასწრაფოდ შეწყდება სამუშაოები.

ამ განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე საათში ბუბა კუდავამ ქართველ საზოგადოებას აცნობა, რომ ტუალეტების მშენებლობა შეჩერდა:

– ტაძართან მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ფოტოების გავრცელებისთანავე თურქეთში საქართველოს ელჩი, ბატონი გიორგი ჯანჯღავა და საელჩოს მრჩეველი დიანა მალაზონია დაუკავშირდნენ ყველა შესაბამის უწყებას, მიაწოდეს ინფორმაცია დოლისყანაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ და სთხოვეს სიტუაციაში გარკვევა. დოლისყანაში ჩავიდნენ შესაბამისი უწყებების თანამშრომლები. როგორც გაირკვა, ტაძრის კარიბჭეში ტუალეტის მოწყობა სოფლის ინიციატივა ყოფილა. მათი წარმოდგენით, საპირფარეშო ტურისტებს მოემსახურებოდა. ინფორმაცია ამის შესახებ არ ჰქონდა არც ადგილობრივ ხელისუფლებასა და არც კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს.

როგორც ელჩს აცნობეს, სამუშაოები უკვე შეწყვეტილია. დიდი მადლობა ქართველ ტურისტებს, რომლებმაც პირველებმა ნახეს ადგილზე მდგომარეობა და სასწრაფოდ მომაწოდეს ინფორმაცია. განსაკუთრებული მადლობა თურქეთის ქართველებს, თურქეთის სხვა მოქალაქეებს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს პრობლემა. ბევრმა მათგანმა ასევე, საკუთარი არხებით, მიაწვდინა ხმა და თავისი გულისწყრომა ადგილობრივ სამხარეო ხელისუფლებას.

მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო საკითხის მოგვარებაში ამ თუ იმ ფორმით. მოკლედ, ცუდი ამბავი, მაგრამ კარგი გაგრძელება. ძალა ერთობაშია!

დათუნა ლაზარიშვილი მაიკლ ჯექსონის ახალ წიგნში შეიყვანეს



მომღერალი დათუნა ლაზარიშვილი, რომელიც კომპოზიტორ მაიკო კაჭკაჭიშვილისა და მომღერალ ლევან ლაზარიშვილის შვილია, პოპის მეფის მაიკლ ჯექსონისადმი მიძღვნილ ახალ წიგნში მოხვდა.

დათუნა ამ წიგნში ჯექსონის სიმღერის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად დაასახელეს. დათუნამ პოპის მეფის ერთ-ერთი ჰიტი „ეარდ სონგ“ (მიწის სიმღერა) იქს ფაქტორში შესრულა და ჟიურისა და მაყურებლის უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

ინფორმაცია დათუნას წარმატების შესახებ **თინიკო ლაზარიშვილი-დანიბეგაშვილმა გაავრცელა:**

– მაცნობეს, რომ მაიკლ ჯეკსონის შემოქმედებაზე ამერიკაში გამოდის ახალი წიგნი, სადაც მსოფლიო ბავშვებს შორის, რომლებმაც შეასრულეს ჯექსონის სიმღერები, საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს დათუნა ლაზარიშვილი!

გილოცავ, ჩემო საყვარელო! ეს დიდი პატივია და შენ ამას იმსახურებ! მიყვარხარ!

კახა ცაბაძე იუბილეს ქუთაისში აღნიშნავს

კომპოზიტორი კახა ცაბაძე 60 წლის იუბილეს ქუთაისში აღნიშნავს. მთელი წლის განმავლობაში შემოქმედი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სტუმრობას გეგმავს.

უახლესი კონცერტი კი ქუთაისშია დაგეგმილი. კომპოზიტორის საიუბილეო კონცერტი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 14 მაისს გაიმართება. საღამოზე შესრულდება კომპოზიტორის როგორც ცნობილი, პოპულარული ნაწარმოებები, ასევე, შედგება რამდენიმე თხზულების პრემიერაც. ორგანყოფილებიანი კონცერტის პირველი ნაწილი დაეთმობა კახა ცაბაძის სიმფონიურ, კამერულ და კამერულ-ვოკალურ შემოქმედებას, მეორე განყოფილებაში კი აჟღერდება კომპოზიტორის საესტრადო სიმღერები. მათ შეასრულებენ გოგიტა გეგელაშვილი, კახა იშხნელი, სალომე ბაკურაძე, მარიტა როხვაძე, ია ტომაში, ლიზა ჩიჩუა...



საიუბილეო კონცერტში, სხვადასხვა თაობის ქუთაისელ მუსიკოსებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები.

კახა ცაბაძის ნაწარმოებებს შეასრულებს ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთო ნემსაძემ და თამთა გოდუაძემ დუეტში „სულიკო“ იმღერეს

ევროვიზია 2019-ის ქართველმა კონკურსანტებმა ოთო ნემსაძემ და თამთა გოდუაძემ ცნობილი ქართული სიმღერა „სულიკო“ დუეტში შეასრულეს.



ოთო ევროვიზიაზე საქართველოს წარადგენს, თამთა კი – კვიპროსს. თამთა ოთოსთან მისი რეპეტიციის შემდეგ მივიდა და თელ ავივში აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი სიმღერაც აჟღერდა. ქართველი მომღერლები დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

თამთა გოდუაძე:

– ეს იყო სიამოვნება, შევხვედროდი ქართველ წარმომადგენლებს და მემღერა მათთან ერთად!

ოთო ნემსაძე:

წარმატებები თამთას!

გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირს“ აფხაზეთი ნახავენ

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმი „გაღმა ნაპირი“ აფხაზურად ითარგმნა.

საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე შექმნილი ფილმი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

ფილმი 12 წლის აფხაზეთიდან დევნილი ბიჭის ისტორიაზეა, რომელიც თბილისიდან აფხაზეთში ჩასვლასა და მამის მოძებნას გადაწყვეტს.

გიორგი ოვაშვილის ფილმის აფხაზურენოვანი აფიშა უკვე მზად არის და სულ მალე მას ოკუპირებულ აფხაზეთშიც ნახავენ.

ნატო გელაშვილი: „ადამიანის ღირსება მისი ზნეობაა“

ასე მიაჩნია მომღერალ ნატო გელაშვილს და ამას თავის უამრავ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ შეახსენებს:

– ადამიანის ღირსება მისი ზნეობაა. მიუხედავად თითოეულ ჩვენგანთან საცდუნებლად მოსული განსაცდელისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მზე შავ ზღვაში არასოდეს ვარდება. მზე მანათობელია და ის ათბობს დედამიწას, თავად ზღვასა და სრულად სამყაროს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

სპილომ თავისი დამცველი მოკლა

მალავიში, აღმოსავლეთ აფრიკაში, სპილომ ბრიტანელი სამხედრო მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი დილის საათებში მოხდა. 23 წლის ჯარისკაცი მეთიუ ტებოლტი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ის ბრაკონიერობის აღკვეთის თავის პირველ მისიას ასრულებდა. მისმა თანამოსამსახურეებმა დაადასტურეს, რომ ის სპილომ გადათელა.

მათი თქმით, ტებოლტი ყოველთვის გამოირჩეოდა მეგობრულობით. მან სწრაფად გამონახა საერთო ენა ადგილობრივებთან და მათ ენასაც კი სწავლობდა. ასევე მათ ისიც აღნიშნეს, რომ ტებოლტი ფოტოგრაფიით იყო გატაცებული და მას უამრავი ფოტოსურათი ჰქონდა გადაღებული.

ტებოლტს მოსწონდა რთულ პირობებში ვარჯიშებისა და წვრთნების ჩატარება და სწორედ ამიტომ მოხალისედ ჩაეწერა მალავიელი ჯარისკაცების რიგებში, რომელიც ცხოველებით არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ იბრძვის.

ფილიპინების პრეზიდენტს უზარმაზარი ტარაკანი შეაცოცდა

ფილიპინების პრეზიდენტ როდრიგო დუტერტეს სენატის წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს მხარზე უზარმაზარი ტარაკანი ააცოცდა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, რომ პრეზიდენტმა საკუთარ სხეულზე აცოცებულ მწერს ყურადღება არ მიაქცია. რამდენიმე წამის შემდეგ მასთან მიირბინა თანაშემწე გოგონამ და შეეცადა, ფურცლების დახმარებით ტარაკანი მისი სხეულიდან ჩამოეგდო. შემდეგ დუტერტემ ეს საკუთარი ხელით გააკეთა.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა იხუმრა, რომ მწერი, შესაძლოა, მასთან ოპოზიციური ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებმა მიაგზავნეს.

– ის ლიბერალია, ნამდვილად ასეა! – ირონიულად განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა, შემდეგ კი სიტყვით გამოსვლა გააგრძელა.

მოხერხებული ტახი შვიდ ლომს დაუძვრა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ლომების ტახზე ნადირობის თვითმხილველნი გახდნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

– ჩემი დურბინდით ვხედავდი, რომ ლომი დამშრალი მდინარის ნაპირებს გულმოდგინედ აკვირდებოდა, – ყვება ვიდეოს ავტორი, მწერალი ქალი დანა ეტკინსონი, – აშკარა იყო, რომ თუ რამეს შენიშნავდა, ნადირობა დაიწყებოდა.

ეტკინსონმა თვალყურის დევნა გააგრძელა და მოთმინება დაუფასდა: დამშრალ მდინარესთან ტახი გამოჩნდა. ის უზრუნველად მიაბიჯებდა და ეჭვადაც კი არ ჰქონდა, რომ მას შვიდი ლომი ეპარებოდა.

ტახმა საფრთხე იმ დროს შენიშნა, როდესაც მტაცებლები მეტისმეტად ახლოს მიეპარნენ. ის გაიქცა, შესაშური მოხერხებულობით გაძვრა დადევნებულ ლომებს შორის და მათი უკან ჩამოტოვება შეძლო. ლომებმა მალევე დაანებეს თავი ტახის დევნას და მანაც თავს უშველა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7400	ევრო — 3.0770
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5675	100 რუსული რუბლი — 4.2049

ამინდის პროგნოზი 13 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

ქართული მითები



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ოკეანარიუმის ბინადარი პინგვინების უმრავლესობა ჰომოსექსუალი აღმოჩნდა

ირლანდიის ქალაქ დინგლის ოკეანარიუმის ბინადარი პინგვინების ოთხი წყვილი ერთსქესიანია.

14-დან რვა პინგვინს იმავე სქესის პარტნიორი ჰყავს, მათ შორის ოთხ მამრსა და ოთხ მდედრს, ერთ ასეთ წყვილს კი, რომლებიც მდედრები არიან, ნაშიერი ჰყავთ, რომელსაც ერთად ზრდიან.

ხუთი წლის წინ ოკეანარიუმში მხოლოდ ერთი ჰომოსექსუალი პინგვინების წყვილი ბინადრობდა, რომელიც მდედრების, სახელად პენელოპასა დამისტისგან შედგებოდა. დაწესებულების თანამშრომლები ხუმრობენ, რომ ჰომოსექსუალიზმი პინგვინებს შორის მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც 2015 წელს ქვეყანაში გეიქორწინებების ლეგალიზაცია დაუშვეს.

ექიმებს ფეხმძიმობა კიბოში აერიათ

თურქეთში ქალმა ექიმებს, რომლებსაც მისი ფეხმძიმობა ავთვისებიანი სიმსივნე ეგონათ, სასამართლოში უჩივლა.

2018 წელს 35 წლის სერპილ ბაგის აღმოუჩინეს და მოაშორეს ერთ-ერთი საკვერცხის სიმსივნე. სამი თვის შემდეგ მას აეწია ჰორმონის დონე, რომელიც გამომუშავდება როგორც ფეხმძიმობის, ისე საშვილოსნოს კიბოს დროს.

ექიმებმა ის კიბოს უჯრედების გავრცელების ნიშნად ჩათვალეს და ქალს ქიმიოთერაპია დაუნიშნეს. გამოკვლევის დროს მის საშვილოსნოში ორი 12 და 19 სანტიმეტრის სიმსივნე აღმოაჩინეს. ექიმები მათ მოშორებას აპირებდნენ, მაგრამ ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე ქალს მუცელი მოეშალა.

როგორც გაირკვა, ექიმებმა სიმსივნედ ტყუპების ჩანასახი ჩათვალეს, რომლითაც ქალი იყო დაფეხმძიმებული. მუცლის მოშლის მიზეზი გახდა ქიმიოთერაპია, რომელსაც ის ექიმების დანიშვნით გადიოდა. ბაგი და მისი მეუღლე თვლიან, რომ ექიმებმა გულგრილობა გამოიჩინეს და მათ დასჯას მოითხოვენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დღეს მამაომ ცოდვები შემინდო.

– მაგაზე არ ინერვიულო. პირველად ხომ არ არის, კიდევ დააგროვებ ახალ ცოდვებს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ყველაზე მეტად რა გინდება სექსის შემდეგ?

– საკუთარი ფულის უკან დაბრუნება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ქალი რომ შეირთე, როგორი ცოლი გამოგადგა?

– ჰოო... მაგარია, სამზარეულოშიც და საწოლშიც...

– და ყველაფერს როგორ ასწრებს?

– ლოგინი სამზარეულოში გავშალე.

•••

მამაკაცი პოლიციელს ეუბნება:

– ჩემი ცოლი დაიკარგა, გუშინ მაღაზიაში მანქანით წავიდა და აქამდე არ დაბრუნებულა.

– მისი სიმაღლე მითხარით.

– სიმაღლის ზომა არასოდეს ამიღია მისთვის.

– გამხდარია თუ მსუქანი?

– არც ძალიან გამხდარია და არც მსუქანი.

– თვალების ფერი?

– ყურადღება არ მიმიქცევია.

– თმის ფერი?

– ყოველკვირა იცვლიდა, არც კი მახსოვს, ახლა რა ფერის ჰქონდა.

– რა ეცვა?

– ყურადღება არ მიმიქცევია, არ ვიცი, კაბა ეცვა თუ შარვალი.

– ნამდვილად მანქანით წავიდა?

– დიახ.

– რა მარკის?

– ლურჯი აუდი ა8 ტურბო V6 ძრავა, 3.0 ლიტრი მოცულობის, 333 ცხენისძალიანი, რვასიჩქარიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფით, ლედ დაბალი ენერგომოხმარების ნათურებით. და კიდევ, მარცხენა წინა კარზე პატარა ნაკაწრი ჰქონდა... – უპასუხა მამაკაცმა და აქვითინდა.

– ნუ ნერვიულობთ, ვიპოვით თქვენს მანქანას!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ემოციური კატა სოციალური ქსელის ვარსკვლავად იქცა

ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს მკვიდრი კატის, სახელად აი ფეის ინსტაგრამ-არხი, რომელზეც მისი ფოტოსურათებია გამოსახული, ინტერნეტში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს. თავისი საყვარელი ცხოველის ფოტოსურათებს სოციალურ ქსელში ტან ჩანტი აქვეყნებს.

ინსტაგრამში მის გვერდს უკვე 30 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. აი ფეის პატრონის თქმით, კატის სახელი ითარგმნება, როგორც „მსუქანა“. ის მიიჩნევს, რომ მისი შინაური ცხოველი საკუთარი ემოციების გადმოცემის გამო „ოსკარს“ იმსახურებს.

ერთ-ერთ კომენტარში აი ფეი ფილმ „ტიტანიკიდან“ ლეონარდო დი კაპრიოს გმირსაც კი შეადარეს.

„მის სამყაროს“ ზედმეტი კილოგრამების გამო მსუქანი უწოდეს

„მის სამყარო-2014“ პაულინა ვეგა სამოდელო კატეგორია პლუს-საიზში მას შემდეგ გადავიდა, რაც წონაში ერთი „ზედმეტი“ კილოგრამი მოიმატა. ამის თაობაზე გოგონამ სოციალურ ქსელში საკუთარ ბლოგში დაწერა.

სილამაზის კონკურსში გამარჯვების ორწლინახევრის შემდეგ კოლუმბიელმა ლამაზმანმა ნიუ იორკის სამოდელო სააგენტოსთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვეგამ დაწერა, რომ ბევრს მუშაობდა და მოგზაურობდა, ამიტომ სააგენტოში სამი თვის შემდეგ დაბრუნდა.

– თავს ჯანმრთელად ვგრძნობდი და საკუთარი სხეულით კმაყოფილი ვიყავი, თუმცა წონაში ერთი კილოგრამი მქონდა მომატებული, – აღიარა 26 წლის გოგონამ. მისი თქმით, შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ მას გამხდრად აღარ მიიჩნევენ, რის გამოც მას პლუს-საიზ მოდელად თვლიან.

კოლუმბიელმა აღნიშნა, რომ ამას არ გაუნაწყენებია, თუმცა სამოდელო კატეგორიები მას უცნაურად მოეჩვენა და აიძულა, რომ სამოდელო ინდუსტრიის სტანდარტებისთვის გადაეხედა.

მამაკაცმა გველს უკბინა და დაიღუპა

ინდოეთის გუჯარათის შტატის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მან გველს უკბინა.

ინციდენტი გასული კვირის ბოლოს მოხდა. 70 წლის პარვატ გალა ბარია საკუთარ ფერმაში მუშაობდა, როდესაც მას გველმა უკბინა. გააფთრებულმა ინდოელმა ქვეწარმავალს ხელი სტაცა და სხეულის ნაწილი მოაჭამა, რის შემდეგაც გონება დაკარგა და დაეცა. ის ქალაქ ლუნავადის სახელმწიფო საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ბარიას ნათესავის თქმით, მან მაშინვე დაწვა გველი და ის დაშავებულთან ერთად საავადმყოფოში მიიტანა.

კოკისპირულ წვიმაში მოყოლილი ქალი გამდიდრდა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრები ქალი ამტკიცებს, რომ ლატარიის გამარჯვებული კოკისპირული წვიმის წყალობით გახდა.

50 წლის ქალი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ქალაქ ლანდოვერ ჰილში მანქანით მგზავრობდა, როდესაც კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მან გადაწყვიტა, გზისპირა მაღაზიასთან გაჩერებულიყო და წვიმის გადაღებას იქ დალოდებოდა. ღვინისა და სპირტიანი სასმელების მაღაზიაში ქალმა შეიძინა ლატარიის ბილეთი, რომლის საპრიზო ფონდი 20 მილიონ დოლარს შეადგენდა, მაგრამ ვერაფერი მოიგო.

აზარტული თამაშების მოყვარულმა აღიარა, რომ შინაგანმა გრძნობამ უკარნახა, კიდევ ერთი ბილეთი ეყიდა. შედეგად მან 20 ათასი დოლარი მოიგო. ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხით დედის დღისთვის საჩუქრების ყიდვას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. მიკრობის სახეობა; 6. ტემპერატურის საზომი ერთეული; 8. მდინარის თევზი; 10. ასპარეზი; 11. ლექსის ნაწილი; 13. ასპილის დაფაზე საწერი ფიქლის ჩხირი; 16. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ფეხსაცმელი; 18. ვერცხლისფერი ლითონი; 19. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 21. გოეთეს დრამა; 22. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარე; 23. მაღაზია.

შვეულად: 1. უეცარი ძლიერი ქარი; 2. ცურვის სტილი; 3. მაგარი კანფეტი; 4. მამლის ხმიანობა; 7. მწვერვალი სვანეთში; 9. რისამე გავრცელების არე; 12. საერთო-სახალხო კენჭისყრა; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. ქართული ხალხური ოთხსიმიანი საკრავი; 17. დიდი გოჭი (სამი თვიდან ერთ წლამდე); 20. ფულად-საკრედიტო დაწესებულება.

შეადგინა ოლივერ კოხიამ